ყოველი ბოლოსა, „ვერსიასა“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№20 (915) 5 – 6 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

3 მარტს, „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი კომპანიების მთელი დღის შემოსავალი ფონდ „იავნანაში“ გადაირიცხა

გვ. 7

საქართველოში იმპორტირებული უკრაინული ზეთი, სიგარეტი „ვინსტონი“ და არმატურა გაძვირდება

როგორ აისახება უკრაინა-რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი საქართველოს ეკონომიკაზე?

გვ. 3

ოლეგ პანფილოვი: „პუტინი ხაფანგში გაება, თუმცა ამას ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რადგან იდიოტია!“

ამჯერად, საქართველოს ხელისუფლება, გიორგი მარგველაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი კომპლიმენტს მართლაც იმსახურებენ. სამწუხაროდ, მათგან განსხვავებით, ხელისუფლებაში უამრავი ადამიანია, რომლებსაც რუსეთთან ნაზი და სათნო სიყვარული აკავშირებთ. იმედია, უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ მაინც მიხვდება ყველა, რომ 2008 წელს აგრესორი საქართველო კი არა, რუსეთი იყო. ორივე სახელმწიფოში, ფაქტობრივად, ერთი და იმავე სცენარი გათამაშდა, უბრალოდ, კრემლი საქართველოს აღებას სამხედრო გზით გეგმავდა, უკრაინაში კი იანუკოვიჩის იმედი ჰქონდათ.

გვ. 4

გვ. 5

ბაირამოვების ბაირამობის დასასრული გარდაბანში

რატომ ჩავიდა გიგი უგულავა, ვინ არის ინკოგნიტო ვახტიორი და რა ფულს ითხოვენ ნაციონალი დეპუტატისგან გარდაბნელები

ევროატლანტიკური ხარკი — რას მოუტანს საქართველოს ცენტრალური აფრიკის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობა

გიორგი ონიანს ახალ ბრალს სდებენ

გვ. 2

დიჯეი რემბო ნარკოტიკის ჩადებას ედავება და პროკურატურას ახალ ჩვენებას აძლევს

ირაკლი ღარიბაშვილი შტეფან ფულეს შეხვდა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირის უმაღლეს კომისარს გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულეს შეხვდა. პირისპირ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საქართველოს პრემიერმა მადლობა გადაუხადა შტეფან ფულეს ვიზიტისთვის, რაც, მისი თქმით, კიდევ ერთი დადასტურებაა ევროინტეგრაციის პროცესში ევროკავშირის ურყევი მხარდაჭერისა საქართველოსადმი. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პერსპექტივებს. მხარეებმა ისაუბრეს რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის უკრაინის კრიზისზე.

შტეფან ფულე ასევე შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, მაია ფანჯიკიძეს. შეხვედრის შემდეგ კი ევროკომისარმა განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ასევე შეხვდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

„ევროკავშირის სახელით საქართველოს პატრიარქს დავარწმუნებ, რომ არავითარი განზრახვა, ტრადიციული ღირებულების უგულებელყოფისა, არ გაგვაჩნია. ის, რასაც მხარს ვუჭერთ, გახლავთ საერთაშორისოდ აღიარებული ღირებულებები, ესაა ტოლერანტობა, ღირსება და პატივისცემა“, — განაცხადა ფულემ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

გეგუთის ციხეში პატიმარი გარდაიცვალა

სასჯელაღსრულების სამინისტრო გეგუთის ციხეში ვითარებას სრულად აკონტროლებს. როგორც „პირველის“ ადგილობრივ კორესპონდენტს ერთ-ერთმა პატიმარმა განუცხადა, გვიან ღამით ციხეში პატიმრებს შორის ჩხუბი მოხდა, რის შედეგადაც ერთი პატიმარი გარდაიცვალა.

„გეგუთის კოლონიაში დახურულ საკანში, ღამით სამის ნახევარზე მოხდა კონფლიქტი, რომელიც ერთი პატიმრის გარდაცვალებით დამთავრდა. ჩხუბობდა სამი პატიმარი, ორი ერთზე. ხუთკაციან საკანში ორნი აშველებდნენ, სავარაუდოდ, ბლაგვი საგნის ჩარტყმით ერთი პატიმარი გარდაიცვალა. გამოძიება მთელი ღამე მუშაობდა, შეიძლება ითქვას, ყველა დეტალი დადგენილია. ადმინისტრაციის პასუხისმგებლობაზე საუბარი ჯერ არ შეიძლება იყოს, სანამ გამოძიება არ დამთავრდება. ის ბლაგვი საგანი არ მინდა, რომ დავასახელო, აბსოლუტურად ნებადართული ნივთია, რომელიც აქვს ყველას საკანში“, — განაცხადა სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა.

„პია“

ევროკავშირის მოთხოვნით, რუსეთმა შეიარაღებული ძალები სამხედრო ბაზებზე 6 მარტამდე უნდა დააბრუნოს

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორენ ფაბიუსმა ბრიუსელში ევროკავშირის მინისტრების შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ისაუბრა და განაცხადა: **„თუ უახლოეს საათებში ვითარების დეესკალაცია არ მოხდება და უკრაინაში, ყირიმში დაძაბულობა განმუხტვას არ დაიწყებს, ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ კონკრეტულ ზომებს მიღებს, მათ შორისაა, ეკონომიკური შეთანხმების გაუქმება და ეს, კონკრეტულად, ნიშნავს იმას, რომ ბევრ საკითხთან დაკავშირებით კავშირები გაწყდება“.**

მისივე თქმით, ევროკავშირს სურს, 6 მარტამდე, იხილოს დეესკალაცია – რუსეთის შეიარაღებული ძალების დაბრუნება საკუთარ სამხედრო ბაზებზე.

„პია“

გიორგი ონიანს ახალ ბრალს სდებენ

დიჯეი რემბო ნარკოტიკის ჩადებას ედავება და პროკურატურას ახალ ჩვენებას აძლევს

გიორგი იაშვილი

ალბათ ყველას გახსოვთ, 23 თებერვალს ადვოკატ გიორგი ონიანის დაკავებას რამხელა რეზონანსი მოჰყვა. საპარლამენტო უმცირესობა სრული შემადგენლობით ამტკიცებდა, რომ ეს პოლიტიკური ნიშნით დევნა იყო. ზოგადად, ნაციონალური მოძრაობის წევრები ბოლო დროს ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ ხელისუფლება პოლიტიკური ნიშნით დევნის ხალხს და წინასაარჩევნოდ მათ აქტივისტებს აკავებს. ონიანი სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა და ეს იმის მიუხედავად, რომ „დაო პრინტის“ მენეჯერი დავით შათირიშვილი მას ღიად სდებდა ბრალს ნარკოტიკის ჩადებაში.

შათირიშვილი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ქართული ოცნების“ ლოგოიან მაისურებს ამზადებდა, როცა დააკავეს და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოში გადაიყვანეს. სამმართველოს უფროსის მოადგილე სწორედ ონიანი გახლდათ და იმის მიუხედავად, რომ ექსპერტიზამ შათირიშვილის სისხლში ნარკოტიკული ნივთიერება ვერ აღმოაჩინა, ნარკოტიკი საქმეში მაინც აღმოჩნდა. როგორც შათირიშვილი ამბობს, ონიანის მითითებით მას მარიხუანა ჩაუდეს. მერე იყო, გათავისუფლებულმა ონიანმა რომ განაცხადა, შათირიშვილი ადრეც ნასამართლევია და ჩირქს მცხებსო, თუმცა...

ამჯერად პრესკონფერენცია ლევან მდინარაძემ, იგივე დიჯეი რემბომ გამართა და, პრაქტიკულად, ანალოგიური ისტორია გაახმაურა. იგი აცხადებს, რომ ონიანმა და კიდევ ორმა უცნობმა მაშინ დააკავა, როცა ის „ქართული ოცნების“ მაისურებს არიგებდა. ამასთან ერთად, დიჯეი რემბო ბერა ივანიშვილის მეგობარია და ეს მის დასაკავებლად დამატებითი სტიმული გახლდათ. აი, რას ჰყვება მდინარაძე:

„2012 წლის 11 ოქტომბერს ნიკოლაძის ქუჩაზე ვიმყოფებოდი და „ქართული ოცნების“ მაისურებს ვარიგებდი. ამ დროს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ორმა პირმა ხელები გადამიგრიხა და ავტომანქანაში ძალით ჩამსვა. წინა სავარძელზე გოგა ონიანი იჯდა. მათ მითხრეს, რომ სახელმწიფოს ღალატი მედებოდა ბრალად, რადგან „ქართული ოცნების“ მაისურებს ვარიგებდი. ასე მიმიყვანეს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოსთან, თუმცა წინა მხრიდან არ შემიყვანეს, რადგან ონიანმა უთხრა, ხმაური რომ არ ატყდეს, უკანა კარიდან შედითო. უკვე ოთახში ონიანმა დამიწყო დაკითხვადა მუდმივად მიმეორებდა, რომ მე სახელმწიფოს მოღალატე ვიყავი და დაკითხვის დროს შეურაცხყოფის მოყენებასაც არ ერიდებოდა. მითხრა, ვინც მაისურებს ბეჭდავს და არიგებს, ყველას დავიჭერთო. მერე გავიგე, რომ შათირიშვილიც დაკავებული იყო. მალევე ბრალდება შეცვალეს და მითხრეს, რომ ნარკოტიკების შეძენა-დამზადება-გადაზიდვისთვის დამაკავეს. ნარკოლოგიური შემოწმების შემდეგ, გაირკვა, რომ მომხმარებელი არ ვიყავი და თავადაც ვაცხადებდი, რომ ნარკოტიკებთან არანაირი კავშირი არ მქონდა. ონიანი გაბრაზდა და დამეტუქა, რომ 7 წელს მომისჯიდა. ამის მიუხედავად, ჩემგან ვერცერთ ბრალდებაზე თანხმობა ვერ მიიღეს, რასაც კვლავ მოჰყვა შეურაცხყოფა, სახეში რამდენჯერმე გამარტყეს. შემდეგ ჩხრეკა ჩამიტარეს და ჩემი ხელით ამოვალაგე, რაც ჯიბეში მქონდა — ფული და საღეჭი რეზინი, მობილური ტელეფონი მანამდე წამართვეს, საფულეს კი არ ვატარებ. შემდეგ ჩვენების ოქმზე ხელის მოწერას მთხოვდნენ, თუმცა წაკითხვის შემდეგ აღმოვაჩინე, თურმე რაღაც თეთრი ქაღალდი აღმომაჩნდა ჩხრეკისას, რაზეც უარი ვუთხარი. საბოლოოდ, იძულებული გამხადეს ოქმზე ხელი მომეწერა, თუმცა ვთქვი, რომ რაც არ ჩამიდენია, იმას არ ვაღიარებდი. ამის მერე უკვე წინასწარი დაკავების იზოლატორში გადამიყვანეს, შემდეგ კი 10 000-ლარიანი გირაოთი გამათავისუფლეს. ამ ხელისუფლების პირობებში ამნისტია შემეხო და გადახდილი თანხა უკან დამიბრუნდა. იმედი მაქვს, რომ ჩემი აღნიშნული განცხადებით პროკურატურა დაინტერესდება, რის შემდეგაც მე ონიანის წინააღმდეგ ჩვენებას მივცემ“...

ეს ბრალდება ერთი-ერთში ემთხვევა იმას, რასაც მანამდე შათირიშვილი ჰყვებოდა. ახლა ონიანი ველარ იტყვის, რომ დიჯეი რემბოც ნასამართლევია, რომ ყველაფერს აკეთებს თავის გადასარჩენად. რა გამოდის? ზაზა ხატიაშვილის მიერ, ლამის ეროვნულ გმირად შერაცხულ ონიანს უკვე ორი ადამიანი ედავება ნარკოტიკის ჩადებას და რატომღაც ორივე დაკავებული „ქართული ოცნების“ მაისურების დამზადება-დარიგებასთან არის დაკავშირებული. ალბათ ნაციონალური მოძრაობის წევრები იტყვიან, რომ ეს არ იყო პოლიტიკური დევნა და ისინი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ, თუმცა ჩვენ არ ვაპირებთ უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევას და ნაადრევი დასკვნების გაკეთებას — გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს და საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს იმისა, რომ მდინარაძე ბოლო არ არის, ვინც ონიანისკენ გაიშვერს ხელს და მას გლდანი-ნაძალადევის რაიონში მუშაობის პერიოდს გაუხსენებს.

სხვათა შორის, გათავისუფლებულ „რემბოს“ მაშინ ბიძინა ივანიშვილიც შეხვდა და განაცხადა, შენამდე კიდევ ერთი კარგი კაცის, ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი დაიჭირეს, ოღონდ იმას ავტომატი ჩაუდეს, რადგან ასაკშია, ნაციონალური მოძრაობა ახალგაზრდებს წამალს უდებს, ასაკიანებს — იარაღს, მაგრამ ძალადობას მომავალი არ აქვს, ყველგან იმარჯვებს თავისუფლებაო. თავისუფლებამ გაიმარჯვა, მოძალადეებს კი, ვინც უნდა იყვნენ ისინი, სასჯელი ელის.

ვერსიანიუსი

არასაპარლამენტო ოპოზიცია ფართო კოალიციის შექმნაზე მუშაობს

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე აცხადებს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ისეთი კოალიციის შექმნაზე მუშაობს, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის და ქვეყნისთვის იმიტომ, რომ იმ ვიზიტების დროს, რაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ბოლო პერიოდში იყო, მნიშვნელოვან ნიშნულად სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განისაზღვრა. წესით ამ კვირაში უნდა დაესვას წერტილი საკანონმდებლო ცვლილებებს და საბოლოოდ გვეცოდინება, რასთან გვაქვს საქმე, თუმცაღა დიდი ცვლილებების მოლოდინი არც გვაქვს. რაც შეეხება კონსულტაციებს, მინდა გითხრათ, რომ „ახალი მემარჯვენეები” მასში აქტიურად ვართ ჩართულები დიდი ხანია, უბრალოდ, ყოველთვის ვიცავთ პრინციპს, რომ ვიდრე ერთობლივი თანხმობა არ იქნება, კონსულტაციების შედეგის გაცხადებაზე, ამის თაობაზე წინასწარ არასოდეს ვსაუბრობთ. ვფიქრობ, ეს კოლეგიალურია. ჩვენ მედიასთან ამ მხრივ არც ხმამაღალი განცხადებები და არც მინიშნებები არ გვიკეთებია, რადგან მიგვაჩნდა, რომ მნიშვნელოვანია, საქმე გამოვიდეს. იდეაში ფართო კოალიციაზე ვმუშაობთ, ისეთზე, რომელიც იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე პოლიტიკურ ასპარეზზე და პოლიტიკურ ველს არ დაუტოვებს მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას, შეძლებს, თანაზომადი და ხშირ შემთხვევაში, აღმატებული კონკურენცია გაუწიოს მათ. გამოვა თუ არა ეს, ბოლომდე გარანტირებული არ არის, თუმცა მნიშვნელოვანი საქმე წინ წაგდებულია. იმედი მაქვს, ეს მოლაპარაკებები სწორედ ამ მიმართულებით და პოზიტიურად დასრულდება. ამას დიდი დრო ალბათ, არ დასჭირდება. მარტი დედლაინია ყველასთვის და ეს კონფიგურაცია და გადაწყვეტილებები თქვენთვის გახდება ცნობილი“.

„პია“

საქართველოში იმპორტირებული უკრაინული ზეთი, სიგარეტი „ვინსტონი“ და არმატურა გაძვირდება

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო რუსეთის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟა და RTS-ის ინდექსი 5%-ითა და 4.8%-ით დაეცა. ტელეკომპანია „დოჟდის“ ინფორმაციით, VTB ბანკის აქციები 9.5%-ით გაიაფდა, „გაზპრომის“ – 6.4%-ით, „გაზპრომ ნავთობის“ – 5.03%-ით, „ლუკოილის“ – 4.7%-ით, „როსტელკომის“ – 9%-ით, „როსნეფტის“ – 4.1%-ით. მოსკოვის ბირჟაზე დოლარის კურსი 86 კაპიკით გაიზარდა და 36.75 რუბლი შეადგინა, რითაც ისტორიულ მაქსიმუმს გადააჭარბა, ევრო კი 1.24 რუბლით გაძვირდა და 50.82 რუბლზე დაფიქსირდა. ინვესტორების შეშფოთებამ, რაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება, საერთაშორისო ბირჟებზე ნავთობისა და გაზის ფასის მატებაც გამოიწვია. ბაზრის ანალიტიკოსების შეფასებით, უკრაინის კრიზისის გამო, 1 ბარელი ნავთობის ფასი 5 აშშ დოლარით გაძვირდება. როგორ აისახება რუსეთ-უკრაინის კრიზისი საქართველოზე? რა პროდუქციის იმპორტ-ექსპორტი შემცირდება ან რა სახის პროდუქტი გაძვირდება? „ვერსიას“ „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი, ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე ესაუბრება.

— ბატონო ლევან, უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო რუსეთს ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებენ, მაგრამ რუსულ აგრესიას ეკონომიკური შედეგი უკვე მოჰყვა — მსხვილი კომპანიების აქციების ფასი დაეცა და რუსული რუბლის გაუფასურებაც დაიწყო, რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი საქართველოს ეკონომიკაზე?

— რუსეთი, როგორც ეკონომიკური პარტნიორი, უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, არასაიმედო გახდა. რუსეთის პოლიტიზირებულ ეკონომიკაში ინვესტიცია აღარავის სურს და 3 მარტს გამართული საბირჟო ვაჭრობაც ამის ნათელი მაგალითია. მსოფლიომ კარგად დაინახა, რომ რუსული ეკონომიკა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური იარაღია, სხვა ქვეყნებზე გავლენის მოსაპოვებლად. შესაბამისად, არც ერთი ინვესტორისთვის რუსეთის ეკონომიკა და რუსული ბიზნესი მიმზიდველი არ არის. რეალურად, ესაა ბიზნესის პროტესტი პუტინის პოლიტიკის წინააღმდეგ. საფონდო და სავალუტო ბირჟების ანალიზმა გვიჩვენა, რომ უცხოელ და თავად რუს ინვესტორებსაც მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ, რადგან რუსულ ოლიგარქიულ კაპიტალს თავად რუსები აღარ ენდობიან. მეტიც, რუსეთის ეკონომიკის მიმართ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერების დამოკიდებულებაც აშკარად ნეგატიურია, რასაც აშშ-ს, გერმანიის, კანადის პრემიერ-მინისტრებისა და პრეზიდენტების მიერ გაკეთებული განცხადებებიც მოწმობს, რომლებიც აცხადებენ, რომ „დიდი რვიანი“, შესაძლოა, „დიდ ერთიანად“ გადაიქცეს. აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, გამორიცხული არ არის, რუსეთი ეკონომიკურ იზოლაციაში მოექცეს. ეს სიგნალები ინვესტორებისთვის იმის მანიშნებელია, რომ ყველა რუსულ აქტივს დაჩქარებული ტემპებით მოიშორებენ, რადგან რუსული აქტივები მათთვის უკვე არასტაბილურობასთან ასოცირდება. ცუდად მენიშნა ნავთობსა და გაზზე ფასების ცვლილებაც, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ნავთობსა და გაზზე ფასის ზრდა, ყოველთვის რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. თანამედროვე მსოფლიოში რუსეთი, მხოლოდ და მხოლოდ, ნავთობისა და გაზის მაღალი ფასებით ლიდერობს და როგორც კი ნავთობი ან გაზი გაძვირდება, რუსეთის აქტივში ჩაიწერება, ოღონდ დროებით. გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთის ეკონომიკა კრიზისს ვერ გაუძლებს, რადგან ამ ქვეყნის ეკონომიკა თავისუფალ საბაზრო პრინციპებს კი არა, ოლიგარქიულ ბიზნესურთიერთობებს ეყრდნობა, რაც საერთაშორისო იზოლაციის პირობებში, დიდხანს ვერ გაძლებს.

— არსებობს მოსაზრება, რომ პუტინმა რუსი ოლიგარქები, მათივე ნების საწინააღმდეგოდ, რუსეთ-უკრაინის ომში ჩაითრია. სავარაუდოდ, რუსი ოლიგარქები საკუთარი კაპიტალის გადარჩენას შეეცდებიან, მაგრამ ევროკავშირის სანქციით, შესაძლოა, მათი ანგარიშები გაიყინოს, ამას რა შედეგი მოჰყვება საქართველოში?

— არ მგონია, რუსეთში განვითარებული პროცესი, თუნდაც, ვალუტის კურსის ვარდნა, მნიშვნელოვნად აისახოს საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოს სავაჭრო პარტნიორია, მისი ხვედრითი წილი საქართველოს სავაჭრო ბალანსში, მცირეა. რა თქმა უნდა, როდესაც რომელიმე ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ეროვნული ვალუტა დევალვაციას განიცდის, ეს ლარის კურსზე ნეგატიურად აისახება, მაგრამ საფრთხეს მაინც რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში ვხედავ. როდესაც ქვეყანაში კრიზისია, მოსახლეობა ეკონომიას ისეთი ტიპის პროდუქტებზე აკეთებს, როგორიც ალკოჰოლური სასმელია. საქართველოს რუსეთის ბაზარზე დომინანტი პოზიცია ალკოჰოლური სასმელის ექსპორტით უჭირავს. თუ რუსეთი კრიზისულ რეჟიმში გადავა, ეს ნიშნავს, რომ რუსეთში ქართული სასმელის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდება და 2014 წელს, ყურძნის მოსავლის რეალიზაციას საფრთხე შეექმნება. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც რუსეთის კრიზისს უკავშირდება, პირდაპირი ფულადი გზავნილების ნაკადის სავარაუდო შემცირებაა. კრიზისის დროს, რუსეთში მცხოვრები ქართველი მოქალაქეებიც ხარჯვის ეკონომიურ რეჟიმში გადავლენ და 2014 წელს, რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების ნაკადი შემცირდება. ამას ისიც ემატება, რომ უკრაინაშიც ეკონომიკური კრიზისია და ფულადი გზავნილების მაჩვენებელი უკრაინიდანაც მოიკლებს, რაც ლარის კურსზე უარყოფითად აისახება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში, უკრაინაში — გრივნა, მეორე ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში, თურქეთში — ლირა, ხოლო რუსეთში, რომელიც დომინანტი სავაჭრო პარტნიორი არა, მაგრამ მაინც ჩვენი პარტნიორია — რუბლი უფასურდება, რაც ლარის კურსზეც მოახდენს გავლენას. ამას რუსეთ-უკრაინის კრიზისი და ის ფაქტორებიც ემატება, რაც უკვე ჩამოგითვალეთ, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ ეს ყველაფერი მნიშვნელოვან რისკად უნდა აღიქვას და პოლიტიკა ამ რისკების მართვაზე უნდა მოარგოს. ჯერჯერობით, საქართველოში სრულფასოვანი საბიუჯეტო ხარჯვითი პოლიტიკა არ გვაქვს ანუ, რეალურად, „ქამრების შემოჭერა“ გატარებული არ არის. კიდევ ერთი, ცუდი მოლოდინი, რაც რუსეთ-უკრაინის კრიზისს მოჰყვება, ტურისტული ნაკადების შემცირებაა, განსაკუთრებით უკრაინიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა რუსეთიდან და უკრაინიდან სავალუტო შემოსავლებსაც დაკარგავს, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა და საფრთხეა.

— რა ტიპის საქონლის იმპორტი ხორციელდება უკრაინიდან, ან რა ტიპის პროდუქციის ექსპორტს ვაწარმოებთ და როგორ აისახება უკრაინის კრიზისი ექსპორტ-იმპორტის ბალანსზე?

— 2013 წელს, უკრაინა-საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბალანსში, უკრაინიდან იმპორტი — 7.6%, ხოლო ექსპორტი — 6.6% იყო. ბოლო დროს, კრიზისამდე პერიოდში, უკრაინასთან ექსპორტის მაჩვენებელი გაიზარდა და 6.6%-ის ნაცვლად, 10% გახდა, შესაბამისად, შემცირდა იმპორტი. 2012 წლიდან, 2013 წლის ბოლომდე, უკრაინასთან მიმართებაში, ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაჯანსაღების ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც, ძირითადად, სპირტიანი სასმელის, ღვინისა და ღვინომასალების, მინერალური წყლის ექსპორტის ხარჯზე განხორციელდა. ახლა, როდესაც უკრაინაში კრიზისი დაიწყო, სწორედ ამ მიმართულებით შეგვექმნება სერიოზული პრობლემა.

> **მოსალოდნელია ექსპორტ-იმპორტის გარკვეული კორექტირება, რადგან უკრაინული კრიზისი სენსიტიურად აისახება ალკოჰოლური ბაზრის სტრუქტურაზე. 2014 წელს, ღვინის, ღვინომასალებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტის იმედი არც უკრაინისა და არც რუსეთის ბაზარზე არ უნდა გვქონდეს. რაც შეეხება იმპორტს, უკრაინაში განვითარებული კრიზისი ადგილობრივ წარმოებასა და მის მასშტაბებზეც უარყოფითად აისახება. უკრაინიდან საქართველოში სიგარეტი, არმატურა, მზესუმზირის ზეთი და ქვანახშირის კოქსი შემოდის, ამიტომ უკრაინიდან შემოტანილი სიგარეტი „ვინსტონი“, რომელიც ერთ-ერთი დომინანტი ბრენდია საქართველოს ბაზარზე, გაძვირდება. მეტიც, მოიმატებს მზესუმზირის ზეთის ფასიც, რომელიც სამომხმარებლო კალათის ნომერი პირველი პროდუქტია, გაძვირდება არმატურა, რასაც ზოგადად, მშენებლობის დარგში, ფასების კორექტირება მოჰყვება.**

— ამას ნავთობისა და გაზის გაძვირებაც დაემატება და გამოდის, ნებისმიერი პროდუქტის გაძვირება გარდაუვალია?

— საქართველოს ენერგოდამოკიდებულების ხარისხი, დაახლოებით, 75%-ია ენერგეტიკულ ბალანსში და აქ ელექტროენერგია არ იგულისხმება, რადგან რუსულ დენზე ნაკლებად დამოკიდებულები ვართ. თუმცა თბოსადგურების 100% გაზზე მუშაობს და ენერგომატარებლებზე ფასების ზრდის თვალსაზრისით, ბაზისური სიმძლავრეების შენარჩუნება გაგვიჭირდება, თუ ეს კრიზისი დიდხანს გაგრძელდება. მოკლევადიან პერიოდში, არ ვპროგნოზირებ, რომ გაზზე ფასები დაკორექტირდება, რადგან აზერბაიჯანული „სოკარი“, რომელიც საქართველოს ბაზრის მონოპოლისტია და 100%-ით უზრუნველყოფს გაზის მოწოდებას, გაზის ფასის ცვლილებას არ დაუშვებს. თუ კრიზისი გაღრმავდება და მით უმეტეს, უფრო მასშტაბური სამხედრო ოპერაციების სახეს მიიღებს, გრძელვადიან პერსპექტივაში, მსოფლიოში ნავთობისა და გაზის ფასების ზრდა გარდაუვალი იქნება. ჩვენი ალტერნატივა მხოლოდ ელექტროენერგიაა და კარგია, რომ ეს პროცესი ზაფხულის დადგომას დაემთხვა, როდესაც საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავება მატულობს და საექსპორტო პოტენციალიც იზრდება. როდესაც ვამბობ, რომ 2013 წელთან შედარებით, 2014 წელი კიდევ უფრო მძიმე იქნება, სწორედ ამ ფაქტორებს ვგულისხმობ. ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გონივრული პოლიტიკა გაატაროს ერთი მხრივ, საბიუჯეტო მიმართულებით, რათა შედეგზე ორიენტირებული ხარჯვითი პოლიტიკა შევიმუშაოთ და მეორე მხრივ, წმინდა მონეტარული ინსტრუმენტებიც გამოიყენოს. როდესაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი 0.25%-ით გაზარდა, რეალურად აღიარა, რომ წლის ბოლოსთვის ინფლაციური რისკი მნიშვნელოვანია. მართალია, ქვეყანაში ფული გააძვირა, მაგრამ ფასების მოსალოდნელი ზრდის შეჩერების მხრივ, პრევენციული ღონისძიებებიც გაატარა. ყველაფერი მაინც ხელისუფლების გონიერებაზეა დამოკიდებული, რომელმაც ქვეყანაში მსხვილი საინვესტიციო რესურსები უნდა მოიზიდოს. ვშიშობ, ჩვენი ხელისუფლება დეკლარირების დონეზე უფრო აქტიურია ინვესტიციებთან მიმართებაში, ხოლო რეალური მოქმედების მხრივ კი აშკარად პასიურობს. საჭიროა ჰიპერაქტიური საინვესტიციო პოლიტიკა, კონკრეტული საინვესტიციო ქეისების ლობირება და მათი დამტკიცება.

> **საქართველოს გადარჩენის შანსი, გონივრული საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებასა და ჰიპერაქტიურ საინვესტიციო პოლიტიკაშია, რათა ქვეყანაში მეტი უცხოური ინვესტიციები შემოვიდეს. საქართველოს, დაახლოებით, 2 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია სჭირდება წლის განმავლობაში, რათა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), მინიმუმ 6%-იანი ზრდა უზრუნველვყოთ.**

— ბატონო ლევან, უკრაინაში, იანუკოვიჩის მხარდამჭერი პრორუსული ორიენტაციის ოლიგარქები რა ნაბიჯებს დგამენ ამ კრიზისის ფონზე, ან რა რეალური საფრთხე მოჰყვება მათ ქმედებებს?

— უკრაინაში ბიზნესის ორი ოლიგარქიული ნაწილია, უკრაინელი ოლიგარქები და წმინდა წყლის, პრორუსული ორიენტაციის ოლიგარქები. უკრაინელი ოლიგარქები აშკარად გამოხატავენ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მხარდაჭერას, რადგან ამ შემთხვევაში, წმინდა პატრიოტულ გრძნობებზე მიდის თამაში. მეორე მხრივ, ნებისმიერ ხელისუფლებას, ვინც უნდა მოვიდეს უკრაინაში, ბიზნესის ეს ოლიგარქიული ნაწილი მხარს აუცილებლად დაუჭერს. ისევე, როგორც რუსეთში, უკრაინაშიც ფულის გადინების საფრთხეა, რადგან საკუთარი კაპიტალის გადარჩენას, უკრაინელი ოლიგარქებიც ევროპის ბანკებში შეეცდებიან, რაც უკრაინული გრივნის კურსზე ნეგატიურად აისახება. უკრაინელი ოლიგარქების მეორე, წმინდა რუსული ორიენტაციის ნაწილი კი სერიოზული საფრთხეა ქვეყნისთვის. თუ დააკვირდებით, უკრაინული ბანკების აბსოლუტური უმრავლესობა რუსული ბანკების კაპიტალითაა დაფუძნებული, რაც უკრაინის ეკონომიკაში ჩადებული ნაღმია და თუ რუსეთს ძალიან გაუჭირდება, ამ ნაღმს პოლიტიკური იარაღის სახითაც გამოიყენებს! უკრაინის ფინანსური ბაზარი მთლიანად რუსულია, ბანკების აბსოლუტურ უმრავლესობას რუსული ბანკები წარმოადგენენ, მაგალითად, „სბერბანკი“, „ვნეშტორგბანკი“, „ალფა ბანკი“. მზა რეცეპტი არ არსებობს, როგორ უნდა გამოვიდეს უკრაინა ჩიხიდან, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა ვერ გადარჩება, თუ თანამედროვე მსოფლიო, როგორც სამხედრო და ასევე ეკონომიკურ მხარდაჭერას არ გამოუცხადებს. საუბარია, ევროკავშირისა და აშშ-ს მიერ, 30 მილიარდი აშშ დოლარის ინექციაზე უკრაინის ეკონომიკაში, ასეთი ინექციების გარეშე კი უკრაინა დეფოლტის საფრთხის წინაშე დადგება და უკრაინული ეკონომიკა, როგორც ასეთი, აღარ იარსებებს!

ოლეგ პანფილოვი: „პუტინი ხაფანგში გაება, თუმცა ამას ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რადგან იდიოტია!“

ამჯერად, საქართველოს ხელისუფლება, გიორგი მარგველაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი კომპლიმენტს მართლაც იმსახურებენ. სამწუხაროდ, მათგან განსხვავებით, ხელისუფლებაში უამრავი ადამიანია, რომლებსაც რუსეთთან ნაზი და სათნო სიყვარული აკავშირებთ. იმედია, უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ მაინც მიხვდება ყველა, რომ 2008 წელს აგრესორი საქართველო კი არა, რუსეთი იყო. ორივე სახელმწიფოში, ფაქტობრივად, ერთი და იმავე სცენარი გათამაშდა, უბრალოდ, კრემლი საქართველოს აღებას სამხედრო გზით გეგმავდა, უკრაინაში კი იანუკოვიჩის იმედი ჰქონდათ.



რუსუდან შელია
557-100-768

მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ პუტინმა წვრთნებში მონაწილე სამხედროების მუდმივი დისლოკაციის ადგილზე დაბრუნების ბრძანება გასცა, უკრაინის ტერიტორიაზე მსოფლიოში მორიგი ცხელი წერტილის გაჩენის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს. უკრაინელი მესაზღვრეების ინფორმაციით, ყირიმის გარდა, რუსეთი სამხედრო შენაერთების მობილიზაციას უკრაინასთან სახმელეთო საზღვრის მიმდებარედაც ახორციელებს. სამხედრო ტექნიკა მობილიზებულია რუსეთის საზღვართან ახლოს, ხარკოვის, ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებშიც. აშშ კი რუსეთს მოუწოდებს, უკრაინის ხელისუფლებასთან პოლიტიკური დიალოგი აწარმოოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაცია უკრაინისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობებზე ღიად საუბრობს. უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთთან სავაჭრო მოლაპარაკებები და ყველა სახის სამხედრო კონტაქტი უკვე შეაჩერა. რა ფატალური შეცდომა დაუშვა პუტინმა და უკრაინის მოვლენების ფონზე, დაიწყება თუ არა რუსეთის დაშლის პროცესი, „ვერსიას“ ჟურნალისტი ოლეგ პანფილოვი ესაუბრა.

— ყირიმში განხორციელებული საოკუპაციო მოქმედებების გამო, რუსეთი ცივილიზებული მსოფლიოსგან სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. შედეგად მოსკოვის ბირჟაზე კომპანიების აქციების ფასი საგრძნობლად დაეცა და მხოლოდ ერთ დღეში, რუსეთის ფინანსურმა დანაკლისმა სოჭის ოლიმპიადის ღირებულებას გადააჭარბა. პუტინი პოლიტიკურადაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა — ყველა სახელმწიფომ „დიდ რვიანში“ მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ნატო და ევროკავშირიც კი მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, უკრაინას სამხედრო დახმარება აღმოუჩინონ. ომის დაწყების შემთხვევაში კი, რუსეთი მეტ იზოლაციაში მოექცევა.

— თუმცა ლავროვის განცხადებიდანაც კარგად ჩანს, რომ რუსეთს ეკონომიკური სანქციების ნაკლებად ეშინია, ექსპერტები კი საუბრობენ, რომ პუტინის იზოლაციაში მოქცევა მას ბევრად საშიშს გახდის.

— ლავროვის სიტყვები მხოლოდ რუსული პროპაგანდის ნაწილია. რეალური ინფორმაციის მიღება როგორც ლავროვის, ისე პუტინისგან, შეუძლებელია. ჩემი აზრით, ყირიმის ოკუპაციის გეგმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწერა, როცა პუტინი რუსეთის ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა. ის ღიად აცხადებდა, რომ მისი მთავარი მიზანი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში რუსული პოლიტიკის გატარება იქნებოდა. არადა, მაშინ პუტინისთვის მეზობელი ქვეყნები საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. საქართველოში პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ, რომელიც ამტკიცებდა — საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო. უკრაინაში კი, რუსეთისთვის მშვიდ ვითარებას პრეზიდენტი კუჩმა უზრუნველყოფდა. ამ მიმართულებით პრობლემები 2003 წლის ბოლოს დაიწყო, როცა საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ წარმატებით დასრულდა, ხელისუფლების სათავეში კი მიხეილ სააკაშვილი აღმოჩნდა. იგი თავიდანვე არ მალავდა, რომ საქართველოს განვითარებას რუსეთის გარეშე აპირებდა. 2004 წელს რევოლუციამ უკრაინასაც გადაუარა და პრეზიდენტი კუჩმა ვიქტორ იუშენკომ შეცვალა. სამწუხაროდ, უკრაინაში შიდადაპირისპირებები დაიწყო, რადგან იუშჩენკო სუსტი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლება კი ქვეყანას ბევრად მყარად მართავდა, ამიტომაც რუსეთიც მის წინააღმდეგ საკმაოდ ხისტ პოლიტიკას აწარმოებდა: 2006 წელს ეკონომიკური ემბარგო, 2007 წლის 7 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, შემდეგ აგვისტოს ომი, მოგვიანებით საკნების აქცია... ანუ საქართველოში რუსეთის მხრიდან გარკვეული პრობლემები ყოველთვის იქმნებოდა, მაგრამ კრემლმა სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია.

ჩემი აზრით, საქართველოს, როგორც პატარა სახელმწიფოს მიმართ, კრემლს განსაკუთრებული გეგმა შემუშავებული არც ჰქონია. მისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს ყოველთვის უკრაინა წარმოადგენდა, რადგან ევროპაში ყველაზე დიდი სახელმწიფოა, თანაც რუსეთიდან ევროპამდე გაზი, სარკინიგზო და საავტომობილო გზები სწორედ უკრაინაზე გადის. კრემლი განსაკუთრებით მაშინ შეშინდა, როცა ოფიციალურმა კიევმა ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება გადაწყვიტა.

— თუ ვსაუბრობთ, რომ უკრაინის მოვლენები რუსეთმა დაგეგმა, დღეს მსოფლიო პუტინის თამაშს თამაშობს თუ მან დასავლეთისგან მსგავსი წინააღმდეგობა ვერ გათვალა?

— რა თქმა უნდა, დასავლეთის მსგავსი რეაქცია რუსეთისთვის უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. პუტინი „ჩეკისტია“, ის ინფორმაციას მხოლოდ სპეცსამსახურებიდან იღებს, რომელიც ყოველთვის ხარისხიანი და სანდო არ არის. მას არ შეუსწავლია უკრაინელი ხალხის განწყობაც — მაიდანზე მომიტინგეებს შორის აღმოსავლეთ უკრაინიდანაც იყვნენ. „ჩეკისტი“ პუტინი ადამიანურ ფაქტორებსაც არასოდეს ითვალისწინებს. მას დაავიწყდა, რომ საქართველოს მსგავსად უკრაინაშიც ადამიანებს თავისუფლების განცდა აღმატებულ ხარისხში აქვთ.

— და რატომ გამორიცხავთ, რომ რუსეთი უკრაინაში ვითარების მაქსიმალურად დაძაბვას ცდილობს, რათა შემდეგ მოლაპარაკების მაგიდასთან საკუთარი პირობების მკაცრად დაყენება და შესრულება მოითხოვოს?

— პუტინი ვერაფერს მიიღებს. რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში უკრაინაში ომის მოწინააღმდეგეთა აქცია გაიმართა, სადაც 600-მდე ადამიანი შეიკრიბა. მათგან 300 პირი პოლიციამ დააკავა. პუტინის მხარდამჭერ აქციაზე კი, მხოლოდ 20 ათასი ადამიანი გამოვიდა, ისიც საჯარო სამსახურის თანამშრომლები. კარგად გამოჩნდა, რომ პუტინს მხარს რუსეთშიც არ უჭერენ და მასთან მხოლოდ სამსახურებიდან გათავისუფლების შიშით მიდიან. ზოგადად, პუტინის იდიოტიზმის განსაზღვრა საკმაოდ რთულია. უკრაინაში მოვლენების განვითარება ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: დასავლეთის, ნატო-სა და ევროკავშირის რეაქციასა და უკრაინის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე. ბუნებრივია, რუსული სპეცსამსახურები განსაკუთრებით აღმოსავლეთ უკრაინაში აქტიურად მუშაობენ, მაგრამ პუტინს ყირიმის დაპყრობა მაინც არ გამოსდის. უკრაინელები რუსეთთან საომრად მზად არიან, რასაც პუტინი ვერასოდეს წარმოიდგენდა. მისი აზრით, ყველაფერი წინააღმდეგობის გარეშე უნდა დასრულებულიყო.

— ევრომაიდნის პროტესტზე დასავლეთის რეაქციამ რატომ დაიგვიანა, ყველა მხარემ ხომ წინასწარ კარგად იცოდა, რუსეთი მხოლოდ დამკვირებლის როლს არ დაკმაყოფილდებოდა?

— ისეთ მონსტრს, როგორიც პუტინია, სწრაფად ვერ დაამარცხებ. გამარჯვებისთვის გარკვეული პირობები წინასწარ უნდა შექმნა. ჩემი აზრით, დასავლეთი ელოდებოდა, როდის დაუშვებდა პუტინი ფატალურ შეცდომას.

— რუსეთმა იგივე შეცდომა საქართველოშიც დაუშვა, მაგრამ მაშინ დასავლეთის რეაქცია შეშფოთებას ვერ გაცდა.

— დიახ, პუტინმა შეცდომა საქართველოსთან მიმართებაშიც დაუშვა, თუმცა მაშინ დასავლეთმა ქვეყნის გადარჩენა მოახერხა. დასავლეთს რუსეთთან ბრძოლის ძველი გეგმები აქვს. კერძოდ, ენერგეტიკული დემონოპოლიზაციის მიმართულებით. დღეს რუსეთს ევროპაში გაზზე მონოპოლია აღარ აქვს. ამ გეგმის შესახებ ამერიკელი სენატორისგან ჯერ კიდევ 10 წლის წინ მოვისმინე. დღეს კი, სწორედ მისი განხორციელების პროცესი დაიწყო. დიახ, რუსეთმა საქართველოსთანაც დაუშვა შეცდომა, მაგრამ დასავლეთმა მაშინ პატარა ქვეყნის გადარჩენა მოახერხა. ახლა პუტინი ბევრად დიდ შეცდომას უშვებს. ყირიმში შესვლა უკრაინის სუვერენიტეტის დარღვევას და ღია ოკუპაციის დაწყებას ნიშნავს, რასაც დასავლეთი აღარ მოითმენს. თანაც პუტინთან უამრავი სხვა პრეტენზიაც დაგროვდა — რუსეთში სიტყვის თავისუფლებისა და ოპოზიციური აზრის არარსებობა, კორუფციის კატასტროფული მაჩვენებელი.... ამჯერად, დასავლეთს კარგი შესაძლებლობა აქვს, ყველა ეს პრობლემა გადაჭრას.

— სამხედრო დაპირისპირების გარეშე?

— პუტინი ხაფანგში თაგვივით გაება, თუმცა ამას ჯერ კიდევ ვერ ხვდება. ის იდიოტია! თანამედროვე პოლიტიკა კი, ძირითადად ეკონომიკაზე გადის. როგორც გითხარით, პუტინმა უკვე საკმაოდ დიდი ფული დაკარგა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია. შესაბამისად, უახლოეს მომავალში, პუტინი პენსიას ვერ გადაიხდის, ვერც სოციალურ დახმარებებს გასცემს და რუსეთში ბევრად მეტი ღარიბი მოსახლეობა გაჩნდება. ეს კი, შიდააფეთქებებს აუცილებლად გამოიწვევს.

— უკრაინის მოვლენებში ჩართვით, დასავლეთი რუსეთის დაშლის პროცესს ამწიფებს?

— რა თქმა უნდა, რეალურია მოსაზრება, რომ რუსეთი მალე დაიშლება! ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოსკოვში ვცხოვრობდი, ღიად ვაცხადებდი, რომ რუსეთის გადარჩენის ერთადერთი შანსი მისი დაშლაა. შესაძლოა, დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფო გაჩნდეს, რომელიც ერთი პრინციპის ირგვლივ გაერთიანდება. ასე რომ, უკრაინის მოვლენები რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელდეს, რუსეთის დაშლა აუცილებლად დაიწყება. პრინციპში, ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს. დასავლეთი კი აქ არაფერ შუაშია. ევროპაა დამნაშავე, რომ რუსეთმა ტერიტორიები დაიპყრო ან თათრებს, ინგუშებსა და ჩეჩნებს თავისუფლება სურთ? არა, მათ ეს ყოველთვის უნდოდათ, რადგან კავკასიის ომი არავის დავიწყებია.

— უკრაინის მხარდაჭერის კუთხით საქართველოს ხელისუფლებაც გააქტიურდა. რა გავლენას მოახდენს ყირიმის მოვლენები საქართველოზე?

— ამჯერად, საქართველოს ხელისუფლება, გიორგი მარგველაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი კომპლიმენტს მართლაც იმსახურებენ. სამწუხაროდ, მათგან განსხვავებით, ხელისუფლებაში უამრავი ადამიანია, რომლებსაც რუსეთთან ნაზი და სათნო სიყვარული აკავშირებთ. იმედია, უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ მაინც მიხვდება ყველა, რომ 2008 წელს აგრესორი საქართველო კი არა რუსეთი იყო. ორივე სახელმწიფოში, ფაქტობრივად, ერთი და იმავე სცენარი გათამაშდა, უბრალოდ, კრემლი საქართველოს აღებას სამხედრო გზით გეგმავდა, უკრაინაში კი იანუკოვიჩის იმედი ჰქონდათ. რატომღაც პუტინი დარწმუნებული იყო, რომ იანუკოვიჩი ვითარების გაკონტროლებასა და უკრაინაში რუსეთის პოლიტიკის გატარებას სრულყოფილად შეძლებდა. საბედნიეროდ, საქართველოში მოსახლეობის განწყობაც ადეკვატურია. უამრავ ადამიანს ვხვდები, ხან აქციებზე, ხანაც ქუჩებში, რომლებიც აცხადებენ, რომ მზად არიან, უკრაინელ ჯარისკაცებთან ერთად, რუსეთის წინააღმდეგ იომონ. ამ ადამიანებს კარგად ესმით, თუ ახლა უკრაინა დამარცხდა, საქართველო მაშინათვე რუსეთის შემადგენელი ნაწილი გახდება. თუმცა უკრაინა არ დამარცხდება!

— უკვე რამდენჯერმე მინიშნებით ითქვა, რომ შესაძლოა საქართველომ ევროკავშირის ასოცირებაზე ხელმოწერა აგვისტომდეც შეძლოს. ასეთ შემთხვევაში რუსეთისგან რა ნაბიჯებს უნდა ველოდეთ?

— ევროკავშირი მართლაც ჩქარობს, საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულება გააფორმოს. იგივე მდგომარეობაა ნატო-ში გაწევრიანების კუთხითაც. დარწმუნებული ვარ, საქართველო ძალიან მალე ევროპული სახელმწიფო გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრად უსაფრთხო სახელმწიფოში ვიცხოვრებთ. რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივაზე საუბარი კი მხოლოდ ზღაპრებია! მართალია, ზურაბ აბაშიძე გამოცდილი და პროფესიონალია, მაგრამ კარასინთან მისი შეხვედრები არაფერს ნიშნავს. რეალურ შედეგებზე საუბარი ხომ საერთოდ ზედმეტია.

— თუმცა ხელისუფლების მიმართ ევროკავშირის რეკომენდაციებშიც ხომ ნათქვამია, საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა უნდა დაიწყოსო?

— ბუნებრივია, ამით დასავლეთიც დაინტერესებულია, რადგან სანამ დიპლომატები საუბრობენ, ომის ალბათობა არ არსებობს. კი ბატონო, დიალოგი უნდა იყოს, თუმცა არა ხელისუფლების მიერ არჩეული ფორმით. კრემლს თავს არ უნდა ვუხრიდეთ, პირიქით, მუდმივად უნდა ვახსენებდეთ, რომ საქართველოს 20% მათ მიერ ოკუპირებულია. სხვათა შორის, საქართველოსა და რუსეთს შორის საფრთხე სხვა მხრივაც იქმნება — ბიძინა ივანიშვილის საინვესტიციო ფონდში რუსი ფიგურები გამოიკვეთნენ. დაინტერესებული რუსი ინვესტორები საკმაოდ დეტალურად შევისწავლე და აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა ან კრიმინალია ან სპეცსამსახურებთან აქვს ახლო კავშირი. ზოგადად, რუსული სუფთა ბიზნესი არ არსებობს, მას ან კრიმინალური წარსული აქვს, ან კრემლის ინტერესების გამტარებელია, ამიტომ იქნებ კარგად შეისწავლონ, საქართველოში ვინ რა ინტერესებით მოდის.

ბაირამოვების ბაირამობის დასასრული გარდაბანში

რატომ ჩავიდა გიგი უგულავა, ვინ არის ინკოგნიტო ვახტიორი და რა ფულს ითხოვენ ნაციონალი დეპუტატისგან გარდაბნელები

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

3 მარტს გარდაბანში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, რომელშიც გიგი უგულავა, ნუგზარ წიკლაური და ყოფილი დეპუტატი, ამჟამად ნაციონალური მოძრაობის გარდაბნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რამინ ბაირამოვი მონაწილეობდნენ, „ქართული ოცნების“ ცენტრალურმა ოფისმა საგანგებო განცხადება გაავრცელა. განცხადებას უცვლელად გთავაზობთ, შემდეგ კი იმას მოგახსენებთ, რა მოხდა რეალურად გარდაბნის რაიონში.



„სულ ცოტა ხნის წინ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა და პარტიის გენერალურმა მდივანმა, კახა კალაძემ საზოგადოებას საგანგებოდ მიმართეს და პარტიისა და მისი სტრუქტურების განახლების ახალ ეტაპზე გადასვლა გამოაცხადეს. პარტიამ ახალი ძალით დაიწყო მუშაობა, რამდენიმე რეგიონში უკვე ჩაატარა პარტიული კონფერენციები, შეხვდა პარტიის წევრებს, აქტივისტებსა და მხარდამჭერებს, რომლებიც შეხვედრებში აქტიურად იღებენ მონაწილეობას და პარტიის განახლებასა და გაძლიერებაში თავისი წვლილი შეაქვთ. ამ ვითარებაში სრულიად მიუღებელია ის, რაც გარდაბანში მოხდა. პარტიის ზოგიერთმა წევრმა, მხარდამჭერმა თუ ნებისმიერმა სხვა პირმა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სახელით ისარგებლა და თავისი დესტრუქციული და პროვოკაციული მოქმედებით პარტიის ავტორიტეტსა და ინტერესებს ზიანი მიაყენა. ამ ადამიანების ასეთი მოქმედება სერიოზულ ეჭვებს ბადებს — თუ ისინი პარტიის ნამდვილი გულშემატკივრები არიან, რატომ აძლევენ ოპონენტებს იმის შესაძლებლობას, რომ მათ თავი დაჩაგრულად წარმოაჩინონ. პირდაპირ ვაცხადებთ, რომ ფიზიკური დაპირისპირება და ანგარიშსწორება კატეგორიულად ეწინააღმდეგება პარტიის გაცხადებულ პოლიტიკას. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. თუ დადგინდა, რომ მომხდარში მონაწილე პირები ნამდვილად პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრები არიან, ჩვენ აუცილებლად მოვახდენთ შესაბამის, უმკაცრეს რეაგირებას“.

რამინ ბაირამოვი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მთავარი დამრტყმელი (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ძალაა გარდაბანში, წინა მოწვევის პარლამენტში პარტიული სიით მოხვდა. იმის მიუხედავად, რომ ელემენტარულად არ შეიძლება საქართველოს პარლამენტში ისეთი პირის მოხვედრა, რომელმაც გამართული ქართული არ იცის, ბაირამოვი ამაყად დააბიჯებდა პარლამენტის დერეფნებში და კომენტარსაც რუსულად იძლეოდა. ქართული კი ვიცი, მაგრამ არ ვსაუბრობო, ამას რომ დეპუტატი იტყვის, კი უნდა გამოაგდო კინწისკვრით, მაგრამ...

ის, რომ ბაირამოვი ყოფილ ხელისუფლებას, უბრალოდ, ხელის ამწევად სჭირდებოდა და მეტი არაფერი აინტერესებდა, იქიდანაც ჩანს, რომ მას ცხოვრებაში პირველი ქონებრივი დეკლარაციის შევსებაში არავინ დაეხმარა, ამიტომაც უწერია 2009 წელს შევსებულ დოკუმენტში, რომ არის „პარლამენტის ცევრი“ და მისი მეუღლე იმავე დეკლარაციაში ბაირამოვა კი არა, ბაირამოვია. პრინციპში, თუ შემდეგ დეკლარაციებში რამინმა „ცევრი“ გამოასწორა და მარტივად დაწერა დეპუტატი ვარო, მეუღლე ბოლომდე ბაირიმოვი იყო.

ამას გარდა საინტერესოა ისიც, რომ 2009 წლის დეკლარაციაში ბაირამოვს ცოლის სახელზე გარდაბნის რაიონში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლი ჰქონდა საერთო ფართით 76 კვ.მ, შემდეგ დეკლარაციებში ეს სახლი უბრალოდ გაქრა, არც გაყიდვაშია ფიქსირებული, არც გაჩუქებაში. სამაგიეროდ, 2012 წლის დეკლარაციაში სახლი ისევ გამოჩნდა, ოღონდ სხვა მისამართზე და უკვე 100კვ.მ როგორ იყიდა, აჩუქა ვინმემ, მემკვიდრეობით მიიღო თუ საერთოდ წაართვა ვინმეს, დეკლარაციაში არ არის მითითებული, მაგრამ მაშინ ასეთი რამეები ხომ არავის აინტერესებდა, მთავარი იყო, შესაბამისი გრაფა ცარიელი არ დარჩენილიყო.

რაც შეეხება 3 მარტის შეკრებას, ბაირამოვმა გადაწყვიტა, ნაციონალური მოძრაობისთვის მასშტაბური შეკრება ეჩვენებინა და, დაახლოებით, ორასამდე ადამიანი შეკრიბა. ორასი ადამიანი ერთად რეგიონებში ნაციონალებს კარგა ხანია არ უნახავთ და ამიტომ მათთან შესახვედრად გიგი უგულავა, ნუგზარ წიკლაური და კიდევ ერთი კაცი ჩავიდნენ. იმ ერთ კაცს არც მე ვიცნობდი, არც გიგი და როცა ნუგზარს ჰკითხა, ეს ვინღააო, იმან უპასუხა, ჩვენი ახალი ვახტიორია, კომისია გავაძლიერეო.

> **ცნობისთვის, გიგი უგულავა გარდაბნელებმა ცოცხლად პირველად ნახეს. მთელი 9 წლის განმავლობაში თბილისის უფლებაშეჩერებულ მერს გარდაბანი არ გახსენებია და ეს მაშინ, როცა ამ რაიონს კუთვნილი სოფლები წყნეთი, კოჯორი, ტაბახმელა და წავკისი ფუკასავით ააცალა და თბილისს შეუერთა. ახლა კი აშკარად გაჭირდა, თორემ ისევ ძველებურად იტყოდა გიგი, იმ მწყემსებთან რა მინდაო და გარდაბანში არ ჩავიდოდა.**

უგულავა არც მაშინ ჩასულა გარდაბანში, როცა საპრეზიდენტო არჩევნები იმართებოდა, არც მაშინ, როცა საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადება მიდიოდა, რადგან გარდაბანსა და მარნეულში აზერბაიჯანელი მოსახლეობის მხარდაჭერისა და უსიტყვო მორჩილების იმედი ჰქონდათ, მაგრამ მიხვდნენ ნაცები, რომ მათი აღარავის ეშინია და აღარც იმის სჯერათ, ცოტა გვაცადეთ და ყველაზე პირვილეგირებული ნაცუმცირესობა თქვენ იქნებითო, რომ ჰპირდებოდნენ...

> **მომხდარ ინციდენტს რაც შეეხება, გარდაბნის „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებენ, რომ ის ადამიანები, რომლებიც კადრებში ჩანდნენ, პარტიის წევრები არ არიან და არასოდეს ყოფილან. მათ გაარკვიეს, რომ პირველი მათგანი, რომელიც კამერებთან აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ წევრია, რასიმ მუსაევი გახლავთ, ხოლო მეორე, რომელიც მუშტი-კრივში მონაწილეობს, ტოფიკ მასიმოვი. ორივე მათგანმა ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ „ქართული ოცნების“ წევრები არასოდეს ყოფილან, უბრალოდ, ხმა არჩევნებზე სწორედ ამ პარტიას მისცეს და მის მხარდამჭერებად რჩებიან.**

შეხვედრაზე უგულავამ და წიკლაურმა დაადასტურეს, რომ მათი მთავარი საყრდენი რაიონში რამინ ბაირამოვი იქნება, თუმცა ჯერჯერობით, მხარეები ერთ რამეზე ვერ თანხმდებიან. ნაციონალურ მოძრაობას სურს, ბაირამოვმა გამგებლის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა და ეს მაშინ, როცა ნადეპუტატარი სიის პირველნომრობას აპირებს, რათა საკრებულოში გარანტირებული ადგილი მიიღოს და შემდეგი ოთხი წელი დეკლარაციის შევსებაზე ივარჯიშოს.

> **გამგებლობა მას აშკარად გაუჭირდება, რადგან წინა ოთხი წლის განმავლობაში მისგან შევიწროებული აზერბაიჯანელები რამინსა და მამამისს, გამბარ ბაირამოვს პირდაპირ ქუჩაში სთხოვენ პასუხს და საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე პირველად არ მისულა. გამბარ ბაირამოვი წლების განმავლობაში გარდაბნის სამძებროს უფროსი იყო. მას შემდეგ კი, რაც პენსიაზე გავიდა, ხოლო მისი შვილი პარლამენტში მოხვდა, იმის დაპირებებით, რომ პრეზიდენტის შეწყალებას გააკეთებდა, რამდენიმე ადამიანისგან ათასობით დოლარი აქვს აღებული. ის ხალხი ისევ ციხეშია, დაპირებული პრეზიდენტი ფილიას ფოგივით მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს და დაზარალებულები ფულის დაბრუნებას ითხოვენ.**

საქმეს სუნი ნაციონალური მოძრაობის დროსაც კი ისე აუვიდა, ბაირამოვები სატელევიზიო სიუჟეტს ვერ გადაურჩნენ, თუმცა შემდეგ რამინმა საპარლამენტო უმრავლესობა აამუშავა და ეს თემაც ყველამ მიივიწყა. ახლა კი სიტუაცია შეცვლილია, ბაირამოვი აღარ არის ძლიერი ამა ქვეყნისა და მას პასუხს სთხოვენ. ეს ყოველდღიურად ხდება და 3 მარტსაც ერთ-ერთი რიგითი დღე იყო, რომელიც უგულავამ თავდასხმად შეაფასა, თუმცა, უშუალოდ, რაიონში სიმართლე იციან და ტყუილი ადვილად რომ აღარ საღდება, ამას ვერ ხვდება ყოფილი ხელისუფლება.

P.S. აქვე, ძალიან საინტერესოა და ვინც უგულავასა და წიკლაურის თანმხლები ვახტიორის ვინაობას გვაცნობებს, მადლობას ვეტყვით.

ვერსიანიუსი

„პოპულის“ დამფუძნებელმა ევგენი ფიჩხაიამ „ფუდმარტს“ სასამართლოში უჩივლა

„პოპულის“ დამფუძნებელი „ფუდმარტს“ სასამართლოში უჩივის, დისტრიბუტორების უკმაყოფილებას, ამჯერად, კომპანიის აქტივების 12%-ის მფლობელის, ევგენი ფიჩხაიას საჩივარიც ემატება. „პოპულის“ დამაარსებელი და ერთ-ერთი აქციონერი ფიჩხაია, კომპანიის ყველა აქტივის „ფუდმარტის“ საკუთრებაში გადასვლას უკანონოდ მიიჩნევს. ის „პოპული-ფუდმარტის“ გარიგების ბათილად ცნობას სასამართლოს სთხოვს. ბიზნესმენის ადვოკატი ლაშა ნოდია აცხადებს, რომ ფიჩხაია ბოლო დრომდე კომპანიის აქციების 12%-ს ფლობდა და აქციების მეტი წილი ისე გადასცეს „ფუდმარტს“, რომ დამფუძნებელ აქციონერს არ შეუთანხმდნენ.

„პირველი რადიო“

რუსეთის პრეზიდენტს შიზოფრენია აქვს

რუსი პოლიტოლოგი სტანისლავ ბელკოვსკი ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტს შიზოფრენია აქვს. მისივე თქმით, პუტინი მიიჩნევს, რომ ისტორიის ბედის გადაწყვეტა შეუძლია, თუმცა აშშ-დან მომავალ საფრთხეს ვერ აცნობიერებს.

„პუტინმა გადაწყვიტა, რომ ზეკაცია და შეუძლია გადაწყვიტოს ისტორიის ბედი, მას შიზოფრენია აქვს და ვერ ხვდება, რომ რუსული შავი ზღვის ფლოტის ჩაძირვა ამერიკის მეხუთე ფლოტს 2-3 რაკეტით შეუძლია“, — განაცხადა ბელკოვსკიმ. მისივე განცხადებით, პუტინის შეჩერება მხოლოდ მის მეუღლეს შეეძლო, რომელსაც გაშორდა.

„ჩვენ დიდი ხანი ვფიქრობდით, თუ როგორ და როდის დაემხობა პუტინის რეჟიმი. დღეს ვლადიმირ პუტინმა გაგვცა ამომწურავი პასუხი ამ კითხვაზე. სერბსკის სახელობის სასამართლო ფსიქიატრიის ინსტიტუტის თათბირზე, სადაც კოლეგებთან ერთად განვიხილეთ მიმდინარე პროცესები, ვლადიმირ პუტინს დავუსვით დიაგნოზი - ჰიპერტოქსიკური შიზოფრენია. ის ფსიქოტიპით პარანოიკია, თავდაცვითი ცნობიერების, მაგრამ გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით პარანოიკი შეიძლება გადაიზარდოს შიზოფრენიკში. ერთადერთი პუტინის მეუღლე ახერხებდა მასზე ზემოქმედებას და შეკავებას, მაგრამ ის მას გაცილდა“, — აღნიშნავს პოლიტოლოგი.

„რეპორტიორი“

ზბიგნევ ბჟეზინსკი: „ყირიმის სცენარი, შესაძლოა, პუტინის გეგმის მხოლოდ დასაწყისი იყოს“

ყირიმის სცენარი შესაძლოა იყოს პუტინის გეგმის დასაწყისი, რომელიც უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონების ხელში ჩაგდებას ეხება — აცხადებს აშშ-ს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში ზბიგნევ ბზეჟინსკი CNN-ის ეთერში.

„ყირიმის სცენარი შესაძლოა იმის დასაწყისი იყოს, რასაც პუტინი გეგმავს. უკრაინის აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც რუსულენოვანი უკრაინელები ცხოვრობენ და რომელთა უმეტესობაც მოსკოვისადმი კარგად არიან განწყობილნი, შესაძლოა, მოსკოვის ინიცირებული არეულობა დაიწყოს. მაშინ იქ რუსული ჯარი შევა“, — აცხადებს ბჟეზინსკი და მოუწოდებს დასავლურ სამყაროს, გააფრთხილოს რუსეთი არ გააკეთოს ეს.

მას მოჰყავს პარალელები ახლანდელ მოვლენებსა და გერმანიის მიერ 1938 წელს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის მიერთებას შორის.

„ამის შედეგი ძალიან სერიოზული უნდა იყოს, იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ ვინანებთ, რომ არაფერი გავაკეთეთ, ზუსტად ისევე, როგორც ვნანობთ, რომ არაფერი გავაკეთეთ 1938 წლის მიუნხენის შემდეგ და ვიცით, თუ რა მოხდა მერე“, — განაცხადა მან.

ბჟეზინსკი ასევე აღნიშნავს, რომ დასავლური ქვეყნები უკრაინის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელნი არიან.

„ჯი-ეიჩ-ენი“

მოვლენების განვითარების 5 შესაძლო ვარიანტი უკრაინაში

ლოკინ კარი
ABC News

უკრაინის მომავალი ძალადობასა და მშვიდობას შორის მერყეობს მას შემდეგ, რაც სასტიკმა შეტაკებებმა ჯერ კიევში, ახლა კი ყირიმში, პირდაპირ დააყენა საკითხი იმის შესახებ, დაუკავშირებს თუ არა უკრაინა საკუთარ ბედს რუსეთს, ორ სახელმწიფოდ გაიყოფა თუ დარჩება ერთიან დამოუკიდებელ ქვეყნად.

გადაყენებული პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი რუსეთში გაიქცა, თუმცა დღეს კვლავ განაცხადა, რომ უკრაინის კანონიერ პრეზიდენტად რჩება. ხუთშაბათს, 27 თებერვალს, თავდაცვის შეიარაღებულმა ძალებმა ყირიმში, რომელიც უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონია და რუსეთის საზღვართან მდებარეობს, სამთავრობო შენობებზე შტურმი მიიტანეს მოსკოვისათვის საკუთარი ერთგულების დემონსტრირებისათვის, ხოლო პარასკევს, 28 თებერვალს ორი აეროპორტი დაიკავეს. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა რეგიონში წვრთნები დაიწყეს. დღეს უკრაინამ რუსეთი ყირიმში ჯარების შეყვანაში დაადანაშაულა. ეს სამხედრო ნაწილები განთავსებული იყო სანაპირო დაცვის ბაზაზე და ორი აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ყირიმი დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიის ნაწილი იყო, მისი მოსახლეობა დიდწილად ეთნიკური რუსებისაგან შედგება და უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობის მსგავსად, რუსეთთან მჭიდრო კავშირები აქვს. იმავდროულად, კიევის საპროტესტო მოძრაობის მონაწილეებმა, რომლებიც ევროპასთან დაახლოებისაკენ მიისწრაფვიან, ახლახან მოიპოვეს უფლება, ნაციონალური არჩევნები დაგეგმილზე ერთი წლით ადრე ჩაატარონ. 25 მაისს უკრაინული ელექტორატი ახალ პრეზიდენტს აირჩევს და იმავე დღეს ყირიმში დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდება. შექმნილი სიტუაცია ემოციისა და ძალის ერთგვარი ფეთქებადსაშიში ნაზავია. დღეს უკრაინის კრიზისის განვითარების ხუთი შესაძლო სცენარი არსებობს.

1. ყირიმი უკრაინას გამოეყოფა და რუსეთი მას მხარს დაუჭერს

ასეთ შემთხვევაში ყირიმის მცხოვრებლები ხმას მისცემენ დამოუკიდებლობას როგორც უკრაინისაგან, ასევე რუსეთისაგან და ყირიმი ცალკე წარმონაქმნი გახდება, რომელსაც რუსეთის და უკრაინის ლიდერები აღიარებენ.

„მოვლენათა განვითარების ერთი შესაძლო სცენარის თანახმად, არეულობა, რომელსაც დღეს თვალს ვადევნებთ, ისეთ დონეს მიაღწევს, როდესაც ყირიმი შეძლებს გამოყოფას და დამოუკიდებლობის მიღებას და იმავდროულად, რუსეთი მას გარანტირებულად დაუჭერს მხარს, კიევს კი მოუწევს მისი დამოუკიდებლობის აღიარება“, — ამბობს ენდი კაჩინსი, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. კანეგის მშვიდობის ფონდის რუსულ-ევრაზიული პროგრამის დირექტორ იუჯინ რუმერს მიაჩნია, რომ, თუკი ყირიმის დამოუკიდებლობისკენ სვლა გაგრძელდება და ძალადობრივ ფორმას მიიღებს, ეს ძალადობა შეიძლება უკრაინის სხვა ნაწილებსაც გადაედოს, რაც ქვეყანას დააქუცმაცებს. **„ჩემი აზრით, სეპარატისტული მოძრაობა ნელ-ნელა გაიზრდება, — ამბობს რუმერი, — სეპარატიზმის განმტკიცების შესაძლებლობა ქვეყნის აღმოსავლეთში გაცილებით მაღალია, თუმცა ის არც დასავლეთში უნდა გამოვრიცხოთ“.**

2. უკრაინა ყირიმში ძალას გამოიყენებს

თუკი კიეველი სამხედროები ყირიმში გამოსვლების ჩახშობას ძალით შეეცდებიან იმის დემონსტრირებისათვის, რომ ყირიმი უკრაინის ტერიტორიის შემადგენლობაში უნდა დარჩეს, ამას შეიძლება უკიდურესად არასასურველი შედეგი მოჰყვეს. ასეთმა ნაბიჯმა შეიძლება აიძულოს რუსეთი რეგიონში ჯარები შეიყვანოს, რასაც სამხედრო შეტაკებები მოჰყვება, მიაჩნიათ ენდრიუ ვაისს და დიმიტრი ტრენინს კარნეგის ფონდიდან. მათ დღეს ფონდის ოფიციალურ საიტზე ყირიმისადმი მიძღვნილი დიდი სტატია გამოაქვეყნეს.

„პუტინი იძულებული გახდება ჩაერიოს (ამ შემთხვევაში რეგიონში სერიოზული კონფლიქტი დაიწყება) იმის მიხედვით, თუ როგორ უპასუხებს ოფიციალური კიევი ადგილობრივი მოსახლეობის ბოლოდროინდელ ნაბიჯებს. ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთის პასუხი საკმაოდ სასტიკი იქნება, თუკი კიევი მკვეთრ ნაბიჯებს გადადგამს ყირიმში საკუთარი ხელისუფლების აღდგენისათვის: ის იქ ან ჯარს გააგზავნის, ან საშუალებას მისცემს იქაურ რევოლუციურ ნახევრადსამხედრო ფორმირებებს „სახალხო მარში“ შექმნან“, — წერენ ისინი.

3. რუსეთი ყირიმში ძალას გამოიყენებს

რადგან რუსეთმა ყირიმის საზღვართან ახლოს სამხედრო წვრთნები დაიწყო, მსოფლიო თანამეგობრობა ახლა ყურადღებით აკვირდება იმას, ჩაერევა თუ არ რუსეთი უკრაინის შიდა კონფლიქტში.

„ყველაზე ცუდი რამ, რაც შეიძლება მოხდეს, ყირიმში კონფლიქტის გაღრმავებაა. ყირიმი დღეს ბრძოლის ეპიცენტრად გადაიქცა“, — მიაჩნია რუმერს, — **„ამ კონფლიქტში შეიძლება რუსი სამხედროები ჩაერიონ, ასევე უკრაინის შეიარაღებული და უსაფრთხოების ძალები... და მაშინ იქ დაიწყება ნამდვილი შეიარაღებული კონფლიქტი“.** თუმცა, კარნეგის ფონდის სტრატეგიული და საერთაშორისო ცენტრის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ პუტინი პროცესებში დროზე ადრე არ ჩაერევა.

„დიდი მოულოდნელობა იქნება, თუკი რუსეთი ღიად გადაწყვეტს ამ რეგიონის ანექსირებას. მართალია, პუტინს უკრაინის სიტუაციაზე გასული შაბათ-კვირის შემდეგ არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია, ადგილებზე განვითარებული მოვლენები სერიოზულად უქმნის საფრთხეს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და იმის ალბათობას ზრდის, რომ რუსეთის არმია ყირიმის გამოყოფაში უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას“, — განმარტავს ვაისი.

„თუკი რუსეთი კუნთების თამაშს დაიწყებს, ეს ძალიან უხეში სიგნალი იქნება რუსების მხრიდან და, სამწუხაროდ, ჩემი აზრით, ნეგატიურ შედეგებს მოიტანს, რადგან მსგავსმა გამოხტომებმა შეიძლება გაზარდოს ანტირუსული განწყობა უკრაინულ საზოგადოებაში“, — განაცხადა კაჩინსმა, და დასძინა, რომ, როგორც ჩანს, რუსეთის სპეცსამსახურები უკვე ეხმარებიან ყირიმში თავდაცვითი ძალების მებრძოლებს.

4. აშშ შეიძლება იძულებული გახდეს, დაეხმაროს უკრაინას

რუსეთს და აშშ-ს შორის ურთიერთობა სულ უფრო იძაბება, რადგან ქვეყნები, რომლებიც უკრაინას ესაზღვრება, აშშ-ს მოკავშირეები არიან (რუმინეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვენია). აშშ-ს, როგორც ჩანს, მოუწევს უკრაინის დახმარება, თუკი იქ ნამდვილი კონფლიქტი დაიწყება.

„ჩვენ გვაქვს გარკვეული ვალდებულებები იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც უკრაინას ესაზღვრებიან“, ამბობს რუმერი. „ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უშუალოდ ჩავერთვებით კონფლიქტში. თუმცა, შეიძლება გაჩნდეს დევნილების პრობლემა ან ჰუმანიტარული დახმარების აუცილებლობა, და ამ შემთხვევაში ჩვენ მოგვიწევს ჩვენი მოკავშირეების დახმარება“. ვაისი მიუთითებს იმაზე, რომ დასავლეთის მოწოდებები რუსეთისადმი, რომ არ ჩაერიოს ყირიმის კონფლიქტში, შეიძლება მხოლოდ მოწოდებებად დარჩეს, რადგან რუსეთს მიაჩნია, რომ სწორედ დასავლეთი დგას კიევის პროტესტის უკან.

5. ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში დარჩება და რუსეთი პატივს სცემს მის ავტონომიას

კარნეგის ფონდის ექსპერტების აზრით, არსებულ მომენტში მოვლენათა ამგვარი განვითარება ყველაზე საუკეთესოა. ის გულისხმობს იმას, რომ პუტინი მხარს დაუჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და ხელს შეუშლის ყირიმის მხრიდან გამოყოფის ნებისმიერ მცდელობას, ასევე აღიარებს უკრაინის ახალ მთავრობას, რომელსაც მაისში აირჩევენ.

„ვიმედოვნებ, რომ შეიძლება რაიმე შუამავლობის გზით ყირიმში დაძაბულობის შემცირება და ოფიციალური კიევის და ყირიმის ხელისუფლების დარწმუნება, დათანხმდნენ ფიქრის პერიოდს და მოლაპარაკებების პროცესს, რათა დარწმუნებით ითქვას, რომ ყირიმი არ მოითხოვს დამოუკიდებლობას“, — ამბობს რუმერი.

3 მარტს, „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი კომპანიების მთელი დღის შემოსავალი ფონდ „იავნანაში“ გადაირიცხა

დედის დღეს, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, „სმარტსა“ და „ვენდისში“ მომხმარებელს ცნობილი ადამიანები მოემსახურნენ

3 მარტი „ვისოლ ჯგუფმა“ დღესასწაულად აქცია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ დღეს, „სმარტსა“ თუ „ვენდისში“ შესულ ყველა ქალბატონს ენძელების თაიგულებით ასაჩუქრებდნენ, მეორეც იმიტომ, რომ ორივეგან, დახლებთან, ცნობადი სახეები ასრულებდნენ გამყიდველის მოვალეობას... ეს ყველაფერი დედის დღესთან მიძღვნილი აქციის ფარგლებში ხდებოდა, რომელიც „ვისოლ ჯგუფმა“ ფონდ „იავნანასთან“ ერთად მოაწყო. აქციის მთავარი ხიბლი ის იყო, რომ სუპერმარკეტ „სმარტისა“ და ამერიკული რესტორნების ქსელ „ვენდის“ მთელი დღის შემოსავალი მრავალშვილიანი დედების დასახმარებლად გადაირიცხა. შესაბამისად, აქციის ლოგიკური გაგრძელება ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში „ფონდ იავნანას“ საიუბილეო საქველმოქმედო კონცერტი იყო, სადაც „ვისოლ ჯგუფმა“ ერთ-ერთ მრავალშვილიან ოჯახს საცხოვრებელი სახლის გასაღები გადასცა.

„ვისოლ ჯგუფს“ სურდა, ყველა დედისთვის მიელოცა. გვინდოდა 3 მარტი დღესასწაულად გვექცია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ქვეყანას მრავალი შვილი აჩუქა და წვლილი შეაქვს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაში. ვფიქრობ, ეს შევძელით. მადლობას ვუხდი „ვისოლის“, „სმარტისა“ და „ვენდის“ ერთგულ მომხმარებელს, ვისთან ერთადაც მნიშვნელოვნად დავეხმარეთ მრავალშვილიან დედებს ფონდ „იავნანასთან“ ერთად. ვფიქრობ, „ვისოლმა“ უპრეცედენტო აქცია მოაწყო. „ვისოლმა“ „იავნანასთან“ ერთად, ამ ფონდის დაარსების დღიდან, ძალიან ბევრი საინტერესო აქცია მოაწყო, მაგრამ დედის დღისადმი მიძღვნილი აქცია, მართლაც, განსაკუთრებული იყო. ამ დღეს მეც საოცარი განწყობა მქონდა — დილას, მანქანაში საწვავი „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურზე ჩავასხი, შემდეგ ოჯახის წევრებთან ერთად „სმარტში“ რაღაცები შევიძინე, მერე „ვენდისში“ გადავინაცვლეთ... ამაში თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ძალიან სასიამოვნო იყო შეგრძნება, რომ თანხა, რომელიც ამ ობიექტებზე გავიღე, ფონდ „იავნანაში“ გადაირიცხებოდა და დაეხმარებოდა მრავალშვილიან დედებს“, — განაცხადა „ვისოლ ჯგუფის“ ვიცე პრეზიდენტმა **ლევან ფხაკაძემ** და „იავნანას“ 10 წლის იუბილეც მიულოცა.

„სმარტში“, კაფეში გივი სიხარულიძე, გერმანული პროდუქციის განყოფილებაში ირაკლი ჩოლოყაშვილი, „ვენდისში“ გიგი დედალამაზიშვილი — ცნობადი სახეები, დახლებთან ამგვარად გადანაწილდნენ. სანამ „ვისოლის“ აქციის შესახებ ინფორმაცია სრულიად თბილისს მოედებოდა, „სმარტისა“ და „ვენდისის“ ლოგოთი დამშვენებულ წინსაფრებსა თუ ქუდებში გამოწყობილი პოპულარების დანახვისას, მომხმარებლები გაოცებას ვერ მალავდნენ. მალე, არტისტებიც შევიდნენ ეშხში და მომსახურე პერსონალის როლიც, გულიანად მოირგეს. **„სმარტში“ ძალიან კარგი აქციაა. ზოგადად, „სმარტია“ საოცარი სუპერმარკეტი, კაფეც აქვეა... აქ შემოსვლაც კი, დიდ სიამოვნებას განიჭებს. როცა შეიძენ რამეს, ეს უკვე ბედნიერებაა და ორმაგი ბედნიერებაა, როცა იცი, გადახდილი თანხა საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხება. მე უკვე გავყიდე რამდენიმე პროდუქტი. აქ სამარხვო პროდუქციის დიდი არჩევანიცაა, რაც მარხვის პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ქალბატონებს, თან ვემსახურებოდი, თან ყვავილებს ვჩუქნიდი. ეს ძალიან სასიამოვნო იყო. დიდი სიამოვნებაა, როცა გეძლევა საშუალება, წვლილი შეიტანო ისეთ დიდ საქმეში, როგორსაც „ვისოლი“ და „იავნანა“ ერთად აკეთებენ“,** — განაცხადა **გივი სიხარულიძემ**.

ირაკლი ჩოლოყაშვილი კი გამყიდველის როლში ისე შეიჭრა, მომხმარებელს, დახლზე წარმოდგენილი გერმანული პროდუქციის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდა. **ირაკლი ჩოლოყაშვილი: „დღეს, ასე ვთქვათ, გამყიდველის როლში ვარ და მომხმარებელს ახალ, გერმანულ პროდუქციას ვთავაზობ. ვისოლ ჯგუფმა ძალიან სასიამოვნო აქცია წამოიწყო — 3 მარტს, მთელი დღის ნავაჭრი გადაირიცხება ფონდ „იავნანაში“, რაც მისასალმებელია. ჩემთვის დიდი პატივია ამ აქციაში მონაწილეობა. მომხმარებლისთვისაც დიდი პატივია, რომ საშუალება მიეცა, „იავნანას“ ფონდში თანხა შეიტანოს“.**

„მგზავრების“ წევრი გიგი დედალამაზიშვილი ყველას „ვენდისში“ ეპატიჟებოდა. მომღერალმა გაგვიმხილა, რომ ამ აქციაში მონაწილეობაზე უარს არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა. **გიგი დედალამაზიშვილი: „არ შემეძლო, აქ არ მოვსულიყავი — დღეს, „ვენდისში“ და „სმარტში“ გაყიდული პროდუქციის თანხა გადაეცემა ფონდ „იავნანას“, რომელიც შემდეგ მოხმარდება მრავალშვილიან დედებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს... ვცდილობ, ხალხი მოვიზიდო და ყველას მოვუწოდებ, დააგემოვნონ „ვენდის“ უგემრიელესი პროდუქტი, განსაკუთრებით ოთხკუთხედი ბურგერი, რომელიც ძალიან მიყვარს“.**

ცნობილი ადამიანების სადღესასწაულო განწყობა 3 მარტს „სმარტისა“ და „ვენდისში“ მოსულ მოქალაქეებსაც გადაედო. მათთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რომ მიეცათ შანსი, დახმარებოდნენ მრავალშვილიან ოჯახებსა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ნინო ლურსმანაშვილი

უმრავლესობის ფრიზუნა

ეროსუდან შელია
557-100-768

ნუკრი ქანთარია: „დრო გვჭირდება, მივხვდეთ, რა გვინდა!“

„გურამ ოდიშარია მწერალი კაცია, მოაზროვნე ადამიანი, მაგრამ ამ თემის სპეციალისტი არ გახლავთ“

საყდრისის ირგვლივ ატეხილ არქეოლოგიურ დავას კულტურის სამინისტროში საკადრო ცვლილებები მოჰყვა — პრემიერმა გურამ ოდიშარიას მოთხოვნა დააკმაყოფილა და კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი გაათავისუფლა. პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნუკრი ქანთარია „ვერსიასთან“ კულტურის სამინისტროს ქმედებებსა და თეატრალურ სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბრობს.

— ის პროცესები, რაც საყდრისის ირგვლივ მიმდინარეობს, ჩემთვის მიუღებელია. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება დაგვიანდა, ზოგიერთები ამ თემით პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ცდილობენ. აუცილებელია, სპეციალისტებმა საზოგადოებას გარკვეული და შეჯერებული აზრი მიაწოდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავი აზრების დაფიქსირება საზოგადოების დაბნეულობას გამოიწვევს. პატარა ქვეყანამ, რა თქმა უნდა, აუცილებელია, ნებისმიერ ნივთსა თუ კულტურულ ძეგლს, რომელიც საერთაშორისო ფასეულობას იძენს, უპატრონოს და მის განვითარებაზე იზრუნოს, თუმცა დაუშვებელია, გაურკვეველი ვითარების გამო, ადამიანები სამუშაო ადგილებს კარგავდნენ... ამიტომ ვფიქრობ, ეს საკითხი ქვეყნისთვის სასარგებლო კუთხით სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს.

— საყდრისთან დაკავშირებით, ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს თავად მინისტრი აკეთებდა, ბოლოს კი, გურამ ოდიშარიამ მარინე მიზანდარი გაათავისუფლა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ხელები მას შეაწმინდა. ბატონო ნუკრი, არ ფიქრობთ, საყდრისის გამო მინისტრის პასუხისმგებლობაც იკვეთება?

— გურამ ოდიშარია მწერალი კაცია, მოაზროვნე ადამიანი, მაგრამ ამ თემის სპეციალისტი არ გახლავთ. შესაძლოა, ორივე მხარე განსხვავებულ ინფორმაციას აწვდიდა... ახლა მთავარი ამოცანაა, მოვლენებს საღი თვალით შევხედოთ და საყდრისის საკითხზე შუალედური პოზიცია მოვძებნოთ. რაც შეეხება მარინე მიზანდარს, არ მგონია, მინისტრსა და მოადგილეს შორის დაპირისპირება მხოლოდ საყდრისს უკავშირდებოდეს. მიზანდარი კარგი სპეციალისტია, თუმცა, როგორც ჩანს, მისი ბუნება ჩინოვნიკობას ვერ ითავსებს. როცა თანამდებობაზე ხარ, უნდა გაითვალისწინო, რომ სხვების დაქვემდებარებაში იმყოფები და სუბორდინაციაც დაიცვა.

— ცოტა ხნის წინ, კულტურის სამინისტროს სამივლინებო ხარჯებიც გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც, 2013 წლის განმავლობაში მინისტრისა და მისი მოადგილის ხარჯმა 183 316 ლარი შეადგინა. საზოგადოებას მოუწოდებთ, ამასაც „საღი თვალით“ შეხედოს?

— სამინისტროს ფინანსურ საკითხებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ, თუ სამინისტრომ მსგავსი ხარჯები გაწია, ალბათ, საჭიროებაც მოითხოვდა. დარწმუნებული ვარ, პირადად ბატონი გურამი ზედმეტს არ დახარჯავდა. ნაციონალები მხოლოდ ბიუჯეტს კი არ ფლანგავდნენ, საკუთარი კლანები შექმნეს და, როცა ქართული თეატრი სულს ღაფავდა, ფავორიტებს კოლოსალურ თანხებს უხდიდნენ. ეს სისტემა სრულად დაინგრა და არ მგონია, დღეს თუნდაც თეატრალურ სამყაროში სამინისტროზე ნაწყენი მსახიობები მოიძებნებოდნენ.

— ბატონო ნუკრი, მერწმუნეთ, ოდიშარიას მინისტრობით არაერთი ხელოვანია გულნატკენი. აი, თუნდაც ხელოვანთა უმრავლესობას კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, რუსული რომანსების საღამოების გამართვა არ მოსწონს...

— უკაცრავად, მაგრამ, ვინც მსგავსი საკითხებით სპეკულირებს, პროვინციელია. სალიტერატურო დარბაზში დოსტოევსკის საღამო რომ გაიმართოს, ვინმემ უნდა გააპროტესტოს? ეს ხომ სიბეცეა?! შესაძლოა, უკრაინაში რუსეთი რაღაც დოზით გავლენას ახდენს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, საჯარო ბიბლიოთეკიდან პუშკინისა და დოსტოევსკის წიგნები გამოვიტანოთ და სახალხოდ დავწვათ?! საერთოდ, რუსულ რომანსებს ქართველები უკეთ მღერიან და მსგავსი თემის განხილვაც კი სისულელედ მეჩვენება.

— იმ მსახიობების მოთხოვნებსაც სისულელედ ხომ არ მიიჩნევთ, რომლებიც აცხადებენ, რომ თუნდაც თოჯინების თეატრიდან უკანონოდ გაათავისუფლეს?

— მსგავსი რამ არ მსმენია, მაგრამ თეატრის ხელმძღვანელებად ის ადამიანები დაინიშნენ, რომლებსაც რეკომენდაცია ღვაწლმოსილმა პირებმა გაუწიეს. სამინისტრო კი სახელმწიფო თეატრებს კოორდინაციას უწევს, რაც მხოლოდ „ფული მომეცი“-ს პრინციპს არ გულისხმობს. თანხა ეფექტურად და თეატრის განვითარებისთვის უნდა დაიხარჯოს. ჩვენი კომიტეტი ამ მიმართულებით გარკვეულ წინადადებებს ამზადებს და ვნახოთ, რა გამოგვივა.

— ფინანსების მიმართულებით არსებულ პრობლემებზე მეცნიერებათა აკადემიაც საუბრობდა — მეცნიერებმა ხელისუფლების მიერ შეთავაზებული პროგრამული დაფინანსება ნაციონალური მოძრაობის დამღუპველი იდეების გაგრძელებად აღიქვეს.

— ვანო კილურაძის მონდომებით, როგორც ვიცი, ამ მიმართულებით თანხა ცალკე გამოიყო, საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ საბაზო დაფინანსებაზე სამინისტრო და შესაბამისი საბჭო იმუშავებს. ყველაფერი იქ გადაწყდება. პარალელურად, განათლების კანონზეც ვმუშაობთ. დრო გვჭირდება, სტრატეგიაზე ჩამოვყალიბდეთ და მივხვდეთ, რა გვინდა.

— სტრატეგიის შემუშავება რატომ გაჭიანურდა?

— შესაძლოა, ნაჩქარევად გაკეთებული გამოგვსვლოდა... საქმეს ისიც აფერხებს, რომ პარლამენტი ქუთაისშია, სამინისტროები კი თბილისში. ჩვენი მთავარი მიზანია, ქვეყანაში თითოეულ ნიჭიერ ადამიანს საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე რეალიზაციის საშუალება ჰქონდეს.

დავით უსუფაშვილი: „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია თავის საქმიანობაში მმართველი ძალის ჩარჩოთი შეზღუდული არ იქნება“

ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პირველ სხდომაზე გააკეთა და ასევე კომისიის მიზნებსა თუ ამოცანებზე ისაუბრა:

„ქართულ ოცნებას“ გაცხადებული აქვს, რომ მისი პოლიტიკური ერთობა, ჰორიზონტი ეს არის მომავალი საპარლამენტო არჩევნები და მასში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტია თავს აღიქვამს დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთამაშედ ქართულ პოლიტიკურ სცენაზე. ჩვენი სამუშაო, უკეთეს შემთხვევაში, ძალაში შევა ორი წლის შემდეგ. დაახლოებით, იმ პერიოდში, როდესაც კოალიციაში შემავალ პარტიებს შესაძლებლობა ექნებათ, უკვე სხვა პრიორიტეტებისკენ იყვნენ მიმართულები. ამაზე მხოლოდ იმიტომ ვსაუბრობ, რომ არათუ 3/4 რომელიც კონსტიტუციას სჭირდება ბოლო ცვლილებების შედეგად, არამედ საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით ძალიან სერიოზული მუშაობა იქნება საჭირო, რომ კონსენსუსამდე მივიდეთ. ეს არის ძალიან რთული პროცესი, მაგრამ შესაძლებლობა მოგვეცა ბოლო წლების განმავლობაში და უნიკალური შანსი, რომ მართლაც შევქმნათ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც პოლიტიკურ კონსენსუსზე იქნება დამყარებული და ერთხელ და სამუდამოდ, შევძლებთ ისეთი კონსტიტუციის შექმნას, რომელსაც ექნება პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც ასევე იქნება ხალხის კონსტიტუცია“.

„ჯი-ეიჩ-ენი“

დავით ბაქრაძე: „ამ ეტაპზე კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების აუცილებლობას ვერ ვხედავ“

როგორც ჟურნალისტებთან ბაქრაძემ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომის დაწყებამდე განაცხადა, თუ გამოიკვეთა პროცესის მიმდინარეობისას პოზიტიური ცვლილებების აუცილებლობა, ცხადია, ნაცმოძრაობა მხარს დაუჭერს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს.

„ამ ეტაპზე კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების აუცილებლობას ვერ ვხედავ. რაც შეეხება გრძელვადიანი ცვლილებების აუცილებლობას, ვიმეორებ, კომისია ხელისუფლების გადაწყვეტილებით შეიქმნა და ინტერესით დაველოდები მათ ხედვას, თუ საით აპირებენ პროცესის წაყვანას. თუ შევთანხმდით პოზიტიური ტიპის ცვლილებებზე, რა თქმა უნდა, პროცესის მონაწილე ვიქნებით და მხარს დაუჭერთ, ხოლო თუ ხელისუფლება ეცდება პროცესი წაიყვანოს, ნეგატიური, ან კონსტიტუციის გაუარესების მიმართულებით — მაშინ იმედი მაქვს, ჩვენც და ყველა პოლიტიკური პარტია ამას შეეწინააღმდეგება ისე, როგორც ეს ხდებოდა საარჩევნო კოდექსთან და თვითმმართველობასთან დაკავშირებით“, — განაცხადა ბაქრაძემ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ევროატლანტიკური ხარკი — რას მოუტანს საქართველოს ცენტრალური აფრიკის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საქართველო დასავლეთთან ინტეგრაციისთვის ახალ გზებს იყენებს — მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველო ცენტრალურ აფრიკაში ევროკავშირის მიერ წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციაში ჩაერთვება. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ მისია ექვსთვიანი იქნება და მასში შეიარაღებული ძალების ასეული მიიღებს მონაწილეობას.

ირაკლი ალასანია: „მთავრობამ განიხილა ევროკავშირის თხოვნა, საქართველო ჩაერთოს ოპერაციაში, რომელსაც ევროკავშირი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში აწარმოებს. გადავწყვიტეთ, ჩავერთვებით ამ პროცესში. ესაა ჰუმანიტარული, მორალურად გამართლებული მისია, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს გაერო-ს რეზოლუციის შესაბამისად. დეტალებზე მოლაპარაკებები გვექნება ევროკავშირის თავდაცვის სტრუქტურებთან. მისია მაისში დაიწყება და დაახლოებით, 6-თვიანი იქნება. სამშვიდობო მისიაში ჩართული იქნება საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეული. ჩვენი შეიარაღებული ძალები პროფესიონალიზმითა და საბრძოლო მზადყოფნით გამოირჩევა, შესაბამისად, ეს მისია, სხვების მსგავსად, დარწმუნებული ვარ, ჩვენთვის წარმატებული იქნება“.

პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** უკვე მიმართა პარლამენტს ცენტრალური აფრიკის მისიაში ქართველი სამხედროების გაგზავნის თხოვნით: **„ამ მისიებში მონაწილეობა ზრდის, როგორც გლობალურ, ასევე ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას. შესაბამისად, მე, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ასეულის გაგზავნა. მივმართავ საქართველოს პარლამენტს, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ გადაწყვეტილებას“.**

პარლამენტი ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობას დათანხმდა — მომხრე 106 დეპუტატი იყო, წინააღმდეგი — 1. საკითხი სესიაზე უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა წარადგინა.

ექვსთვიანი მისიის ამოცანა, რომელიც 2014 წლის მაისში დაიწყება, ცენტრალური აფრიკის დედაქალაქში უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, ხელმძღვანელი ქვეყანა კი საფრანგეთია.

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 2014 წლის 10 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია განხორციელდება, რითიც ქვეყანას დროებით (დაახლოებით, 6 თვემდე ვადით) მხარდაჭერას აღმოუჩენენ და დედაქალაქ ბანგის ტერიტორიაზე, ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფენ.

ცნობისთვის: საქართველოსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 2010 წლის 23 დეკემბერს დამყარდა,

2013 წლის ნოემბერში კი, საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ჩარჩოხელშეკრულებას ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ. ამჟამად, საქართველოს 1 560 სამხედრო ჰყავს ავღანეთში და, „აისაფის“ მისიაში აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოს, გერმანიისა და იტალიის შემდეგ, მეხუთე უმსხვილესი კონტრიბუტორია.

სამხედრო ექსპერტი **ირაკლი ალადაშვილი** აღნიშნავს, რომ ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში ჩართვა, პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოსთვის მომგებიანია, თუმცა ზომიერების დაცვა აუცილებელია. რა ხდება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში?

„მარტო დიქტატორ ბოკასას სახელის ხსენებაც საკმარისია, ცხადი გახდეს, სად ვგზავნით ქართველ სამხედროებს. 1965 წელს, ქვეყნის სათავეში სამხედრო გადატრიალებით მოსული პოლკოვნიკი ბოკასა მსოფლიოში იმით გახდა ცნობილი, რომ ოპოზიციის ლიდერების ხორცს ჭამდა, ერთხელ კი, მინისტრთა კაბინეტს ერთ-ერთი მოკლული მინისტრის ხორცით გაუმასპინძლდა.

ბოკასას რეჟიმი 1979 წელს, ფრანგმა პარაშუტისტებმა დაამხეს და პარიზმა ამ ქვეყანაზე გავლენა აღიდგინა (1903-1960 წლებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორია საფრანგეთის კოლონია იყო).

ბოკასას ჩამოგდების შემდეგ, ამ ქვეყანაში არაერთი სამხედრო გადატრიალება მოხდა. 1993 წელს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა კვლავ დამოუკიდებელ ქვეყნად იქცა, 2013 წლის გაზაფხულზე კი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო აჯანყებულთა ალიანსმა „სელეკამ“, რომელმაც ფრანგებისადმი ლოიალურად განწყობილი მთავრობა დაამხო.

წლის ბოლოს ფრანგებმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 1200 დესანტი გადასხეს. გარდა ამისა, იქ იმყოფება აფრიკის კავშირის ქვეყნების 3 ათასამდე სამხედრო, რომელთა რიცხვის გაორმაგება უახლოეს მომავალშია დაგეგმილი, ფრანგები კი დამატებით 400 სამხედროს გაგზავნას აპირებენ.

ევროკავშირი აპირებს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში შვედეთის, პოლონეთის, ბელგიის, ფინეთის, სლოვაკეთის, ლიტვისა და ესტონეთის სამხედრო კონტინგენტებიც გაგზავნოს, რადგან კონფლიქტის ზონაში ძალიან დაძაბული ვითარებაა — ყოველდღე ხდება შეიარაღებული შეტაკებები და კანიბალიზმის შემთხვევებიც არცთუ იშვიათია.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა ძალიან ღარიბი ქვეყანაა, თუმცა იქ მოიპოვება ალმასი, რაც, ეტყობა, ევროპული ქვეყნების დაინტერესების მთავარი მიზეზია.

ერაყში ქართველი სამხედროები ამერიკელების გულისმოსაგებად გავგზავნეთ, ავღანეთში — ნატო-ს მხარდასაჭერად, აფრიკაში კი ევროკავშირის თხოვნას შევასრულებთ... აფრიკაში ქართველი სამხედროების გაგზავნა უკვე გადაწყვეტილია. ასეულის ნაცვლად, ოცეულიც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ იმედია, ავღანეთის მსგავსად, ქართულ ასეულს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაშიც ბატალიონად არ ვაქცევთ...“

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ დასავლეთთან ინტეგრაციის გაღრმავებისთვის საქართველოს დამატებითი ფაქტორების ძიება უწევს და ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ სამხედრო მისიებში მონაწილეობაა: **„1990-იანების შემდეგ, დასავლეთზე ნავთობსადენით ვმოქმედებდით და ამის გამო საქართველოს მიმართ მგრძნობიარე გახდა. თავის დროზე ამ ნავთობსადენმა მეგობრები გაგვიჩინა, მაგრამ ახლა ჩვენი ინტერესების დაცვის საქმეში ძალიან თავდადებული ვეღარაა, ამიტომ მომავალზე ორიენტირებული დამატებითი ფაქტორების გამოყენება გვიწევს. ასეთი ფაქტორი ჯერ ნატო-ში, ახლა კი ევროპისა და გაერო-ს ეგიდით განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობაა. იმისთვის, რომ შენი ინტერესები დაიცვან, ქვეყანას რაღაცის გაცემა სჭირდება — ფიზიკური ძალებიდან დაწყებული, ბიჭების სიცოცხლით დამთავრებული. რეალურად, ეს ამ ბიჭების ბრძოლაა საქართველოსა და მისი მომავლისთვის“.**

1.მეცნიერება საზომ ერთეულთა შესახებ
2. ბომარშეს პიესების პერსონაჟი
3.მოლა, რომელიც მინარეთ. მოუხმობს სალოცავად
4. საპორტო ქალაქი რუსეთში, აზოვის ზღვაზე
5. ზღვის დიდი კიბო
6.საფოსტო მარკების შეგროვება
7. ზევსის მერიქფე
8. შპალერის გრაგნილი
9. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში
10. ლეგენდარული ჩაძირული კონტინენტი
11 ცეცხლის დასან. და შესანახი ადგილი საცხოვრებელში
12. გამორჩენილი ჩეხი ჩოგბურთელი მამაკაცი
13. ერთწლოვანი ზეთოვანი საღებავი მცენარე
14. აფრიკის თანამედროვე არაბული სახელწოდება
15. ამერიკელთა მეტსახელი
16. უმაღლესი ხარისხის მინა
17.ნახევარკუნძული შავ და აზოვის ზღვებს შორის
18. კლოუნის გამოსვლა ცირკში
19.ხორცის უძველო ნაჭერი
20.რომელიმე ენის თავისებური, დაუშ. გამოთქმა
21. დიდი შხამიანი გომბეშო
22. მცირეალკოპოლიანი სასმელი
23. დიდი თურქული ხმალი
24. ზეზვას და მზიას „მშობლიური“ ქალაქი
25. „12 სკამის“ პერსონაჟი მადამ ...
26. მიზანდარის სახელი „მიმინოში“
27. ბერძნული ანბანის ასო
28. ძიუდოისტთა ოსტატობის ხარისხი
29. ჭაბუა ამირეჯიბის „... მბორგალი“
30. აშშ-ს კინოაკადემიის ჯილდო
31.მდინარე, რომელშიც იესო მონათლეს
32. ლაოსის დედაქალაქი
33. იტალ. მსახიობი ალბერტო ...
34.ინგლის. სიგრძის საზომი ერთეული
35. უზურგო სკამი
36.ქალაქის ფიგურ. გაკეთების ხელოვ. იაპონიაში
37.მეცნიერების ან ხელოვ. გამოჩ. მოღვაწე
38. სუბტროპიკული ხილი
39. მოგზაურობა წრიული მარშრუტით
40.სახელმწ. ფულადი დახმ. საწარმოებისათვის
41. რეზო ესაძის კინოქალაქი
42. იგივეა, რაც ხალიჩა
43. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული
44. მშვიდი, გაბმული საუბარი
45. ბავშვთა სასრიალო მარხილი
46. შვიდის მომდევნო რიცხვი
47.საუდის არაბეთის დედაქალაქი ...-რიადი
48. ბანქოს ერთ-ერთი ფიგურა „ჯარისკაცი“
49. სასტუმროს მსახური ბიჭი
50. იტალიის საფეხბურთო კლუბი
51.დიდგორის ომი ანუ „... საკვირველი“
52. აშშ-ის შტატ ჯორჯიის დედაქალაქი
53.ფრანგ. პარფიუმერულ-კოსმეტ. ფირმა
54. კომპოზიტორი ... მორჩილაძე
55. ჯანმრთელობის ქალღ. ბერძ. მითოლოგიაში
56. გამანადგურებელი ცეცხლი
57.მგელთა ხროვის წინამძ., ვინც მაუგლი „იშვილა“
58. სოფელი ქედის რაიონში
59. უკრაინელი პოლიტიკური მოღვაწე, ანარქისტი
60. აშშ-ის შტატი
61. ჭადრაკის ფიგურა
62.მდინარე იტალიაში, პოს შენაკადი
63. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
64. ათოსის მსახური
65.ცელქი, მოუსვენარი ბავშვი
66. სამოქალაქო აviაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
67. აშშ-ის კუნძულოვანი შტატი
68. (ძვ.) სიცხიანის სადები წამალი
69. „ჭორიკანა“ ფრინველი
70. მდინარე ციმბირში
71.სამხრეთ ამერიკელ ინდიელთა შხამი
72. წიწვოვანი მცენარე
73. ფოსო თვალის ქვეშ
74.ქართველ ღვთაებათა დედა
75. მტაცებელი ცხოველი
76. მხარე, მიდამო
77. ვაზების მწკრივი ვენახში
78. ფრანგი ფეხბურთელი
79. ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა
80. ქალაქი ბოლივიაში
81. ქიმიური ელემენტი
82. წერილობითი კოლექ. თხოვნა ხელისუფლებისადმი

მარწყვი სისხლძარღვებს აჯანსაღებს

როგორც გაირკვა, მარწყვი არა მხოლოდ მისი დახვეწილი გემოს გამოა დაფასებული, არამედ ეს ხილი გამაჯანსაღებელად მოქმედებს სისხლძარღვებზე. იტალიელმა და ფრანგმა სწავლულებმა გამოკვლევები ჩაატარეს, რომლის შედეგადაც ამ სასურველი კენკრის ზოგიერთი განსაკუთრებული თვისება გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ მარწყვი მეტად ეფექტურად აღადგენს ქოლესტერინის დონეს, რაც მედიკოსებისთვისაც აღმოჩენად იქცა. ექსპერიმენტისას მოხალისეებს ყოველდღიურად 50 გრამი კენკრა უნდა მიეღოთ. ერთი თვის შემდეგ, როცა ექსპერიმენტი დასრულდა, მონაწილეების სისხლის ანალიზი ჩაატარეს და ექსპერიმენტამდე აღებულ მონაცემებს შეადარეს. გაირკვა, რომ საერთო ქოლესტერინის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა. გარდა ამისა, შემცირდა ცხიმოვანი ნაერთების რაოდენობაც, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს გულის კუნთების მდგომარეობაზე. უფრო ადრე კი მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მარწყვი მზის გამოსხივებისგან გვიცავს და ეხმარება ორგანიზმს ალკოჰოლით გამოწვეული ზიანის განეიტრალებაში.

შემწვარი კარტოფილი დეპრესიას ინვევს

როგორც აღმოჩნდა, შემწვარი კარტოფილის მოხმარებამ, შესაძლოა, ღრმა დეპრესია გამოიწვიოს. ჰარვარდის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ფსიქიკისთვის ძალიან მძიმეა ნახშირწყლებით გაჯერებული საკვები. ამ „მავნებლების“ სიაში სწავლულებმა არა მხოლოდ შემწვარი კარტოფილი შეიტანეს, არამედ ბევრისთვის საყვარელი პასტაც. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ის მანდილოსნები, რომელთა მენიუშიც ბევრი ნახშირწყლები და წითელი ხორცი გამოიყენება, გაცილებით ხშირად ვარდებიან დეპრესიაში. ამერიკელ სწავლულთა კვლევები 12 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის მონაწილეც, სხვადასხვა ასაკის, 43 ათასი ქალი იყო. ექსპერიმენტის დაწყებამდე არც ერთი მათგანი არ ჩავარდნილა დეპრესიაში — ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სუფთა მონაცემების მისაღებად. კვლევების ბოლოს აღმოჩნდა, რომ ნახშირწყლებით გაჯერებულ პროდუქტსა და ღრმა დეპრესიას შორის კავშირი ნამდვილად არსებობს.

ბავშვის მამობისთვის ოთხი ქმარი იბრძვის

იორდანიის ქალაქ ალ-რამტას სასამართლო უცნაურ საქმეს განიხილავს — ამ ქვეყნის მოქალაქე ქალბატონის ოთხი ქმარი მისი მომავალი შვილის მამობის უფლებისთვის იბრძვის. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ქმრებს შორის ორი სირიელი, იორდანელი და საუდის არაბეთის მცხოვრებია. თითოეული მათგანი თავს ერთადერთ მეუღლედ მიიჩნევდა და დანარჩენი სამი მამაკაცის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. სასამართლომ დნმ-ის ანალიზის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. აღსანიშნავია, რომ მუსულმანებში ყურანი პოლიგამიას უშვებს მხოლოდ მამაკაცებისთვის — მათ ერთდროულად მხოლოდ ოთხი ცოლის ყოლის უფლება აქვთ. ქალებს კი ერთდროულად რამდენიმე მამაკაცზე გათხოვება ეკრძალებათ. ამ ამბავმა მუსლიმებში გაოგნება გამოიწვია. ზოგი ქალს თაღლითობაში ადანაშაულებს, ქმრებს კი სულელებს უწოდებენ. ზოგი კი მიიჩნევს, რომ ასეთი ქორწინება პროსტიტუციის დაფარვაა.

საუკეთესო მეგობარი ვინ?

ახალმა ფსიქოლოგიურმა კვლევამ დაამტკიცა, რასაც ბევრი სწავლული დიდი ხნის წინ ლაპარაკობდა: მამაკაცი-გეი და ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის ქალი — საუკეთესო მეგობრები არიან. ეს ურთიერთობა მაქსიმალური სანდოობით გამოირჩევა. ტეხასის უნივერსიტეტის სპეციალისტები დაინტერესდნენ, რატომ აქვთ გეებსა და სუსტი სქესის წარმომადგენლებს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები. მათ განიხილეს ჰიპოთეზა, რომ ქალს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან აქვს კავშირი, მაგრამ ამასთან არ არსებობს მათი ინტიმური სიახლოვის ვარიანტი. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ექსპერტებმა შეარჩიეს ტრადიციული ორიენტაციის 88 მანდილოსანი, 58 გეი-მამაკაცი და ჩაატარეს ექსპერიმენტი. ქალებს ეკითხებოდნენ, ვის უფრო ენდობოდნენ ზოგიერთ საკითხში: ტრადიციული ორიენტაციისას თუ „ცისფერს“? მოკლედ, აღმოჩნდა, რომ გეები და მშვენიერი სქესი ერთმანეთს 20%-ით მეტად ენდობა, ვიდრე სხვა ადამიანებს. ისე კი, ამაში გასაკვირი არაფერია და ეს უნიკალური მოვლენა მშვენივრადაა ასახული თანამედროვე კინოში, ლიტერატურასა და პოპკულტურაში.

საცვალი მეტეორიზმის წინააღმდეგ

დიდ ბრიტანეთში ინოვაციური საცვალი შექმნეს, რომელიც უსიამოვნო სუნს ანეიტრალებს. საცვლის უკანა ნაწილი ნახშირბადის ქსოვილისგანაა შექმნილი, რომელსაც შეუძლია გაზები შთანთქას, თანაც 200-ჯერ იმაზე მეტი, ვიდრე ადამიანისთვის სტანდარტულად მიჩნეული რაოდენობაა. მწარმოებელთა თქმით, მათი პროდუქცია ყველასთვისაა განკუთვნილი, რადგან არ არსებობს ადამიანი, რომელსაც მეტეორიზმის პრობლემა არ აწუხებდეს. ბრიტანული ფირმის Shreddies ნაწარმი უკვე ჩაშვებულია წარმოებაში და დიდი პოპულარობით სარგებლობს შეერთებულ შტატებშიც. მამაკაცის ამგვარი ტრუსი 39-45 დოლარი ღირს, ქალისა 31-34 დოლარი.

წამალი აბსოლუტურ სმენას მოგანიჭებთ

თუ გსურთ, რომელიმე სასიმღერო კონკურსი მოიგოთ, წინასწარ ფარმაცევტს მიაკითხეთ. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ პრეპარატი, რომელსაც ვალპროატის ანუ ვალპროევის მჟავას სახელით ვიცნობთ, ადამიანს შესანიშნავი სმენის მინიჭებაში ეხმარება. აბსოლუტური სმენა — ეს თანდაყოლილი იშვიათი ნიჭია, ნებისმიერი ორიენტირის გარეშე მუსიკალური ნოტების წარმოთქმისა და იდენტიფიცირებისა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აბსოლუტური სმენა გენეტიკური ნიშანია, რომლის განვითარებაც შეიძლება ადრეული ბავშვობიდან მუსიკის შესწავლით. სასურველია, ხუთი წლიდან, სხვა შემთხვევაში ის, დიდი ალბათობით, არ განვითარდება. პატარებს ნეიროპლასტიკურობის ხარისხი მეტად მაღალი აქვთ და ეს აძლევს საშუალებას, ადვილად ისწავლონ ენები. ვალპროატი კი ნეიროპლასტიკურობას იმ დონეს დაუბრუნებს, რაც ბავშვობაში იყო. თავად ვალპროატი — ნარკოტიკის ნაირსახეობაა. მას დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ შაკიკის, ეპილეფსიური შეტევებისა და ბიოპოლარული აშლილობების დროს. კვლევებისთვის მეცნიერებმა მოხალისეები შეკრიბეს და მათ ორი კვირის განმავლობაში ვალპროატს ან პლაცებოს აძლევდნენ. მოხალისეებს მინიმალური მუსიკალური განათლება ჰქონდათ, ორი კვირის შემდეგ მათ ნოტების გარჩევა სთხოვეს და აღმოჩნდა, რომ ვინც ვალპროატს იღებდა, შედეგი გაცილებით უკეთესი ჰქონდა.

მავნე ჩვევების დაძლევაში ბანანი დაგეხმარებათ



სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც ბანანის გასაოცარი და სასარგებლო თვისებები გამოავლინეს. ახლა სავსებით ცხადი გახდა, რომ ეს პროდუქტი შეგვიძლია ნებისმიერ დიეტაში ჩავრთოთ, თუმცა, მთავარი ისაა, რომ ეს ტროპიკული ხილი ადამიანს ისეთი მავნე ჩვევების დაძლევაში დაეხმარება, როგორიც მაგალითად, მოწევაა. ამასთან, იგულისხმება არა მხოლოდ ნიკოტინზე დამოკიდებულება, არამედ მარიხუანაც. საქმე ისაა, რომ ბანანში ბევრი ტრიფტოფანია და როცა ორგანიზმი მას ითვისებს, წარმოიქმნება კინურენის მჟავა. ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს ამ მჟავას შესაძლებლობები და მათი დასკვნით, მისი გამოყენება სერიოზული დამოკიდებულებების დროს თავისუფლად შეიძლება. მერილენდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეძლეს დამტკიცება, რომ კინურენის მჟავას ზოგიერთი თვისება გარკვეული გზით მოქმედებს ტვინზე და შეუძლია, ადამიანის მარიხუანაზე დამოკიდებულება შეასუსტოს. ლაბორატორიული ცდები მაიმუნებსა და მღრღნელებზე ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ კინურენის მჟავა კანაფში შემავალ იმ ნივთიერებაზე ზემოქმედებს, რაც შეჩვევას იწვევს. სწავლულები მიიჩნევენ, რომ მომავალში სიგარეტზე ან მარიხუანაზე დამოკიდებულებას პრეპარატებით კი არა, სპეციალური დიეტით შეებრძოლებიან, რომელიც ტრიპტოფანით იქნება გამდიდრებული. თუმცა, მკვლევარები მსურველებს აფრთხილებენ, რომ ახლავე ნუ შეუდგებიან ბანანით ან სხვა პროდუქტით მავნე ჩვევებთან ბრძოლას, რადგან კვლევები ჯერ არ დასრულებულა და პირველადი შედეგები დაზუსტებას მოითხოვს.

„მშრალი წყალი“ გამოიგონეს

სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან ცოტა ხნის წინ „მშრალი წყლის“ შექმნის შესახებ განაცხადეს. ეს ნივთიერებაა, რომელიც ძირითადად ჩვეულებრივი წყლისა (95%) და მცირე რაოდენობით (5%0 კრემნიუმის დიოქსიდისგან შედგება. წყლის თითოეული წვეთი კრემნიუმის დიოქსიდის გარსშია გახვეული. გარეგნულად „მშრალი წყალი“ შაქრის ფხვნილს მოგვაგონებს, მკვლევარები კი ამბობენ, რომ მათი ქმნილება რევოლუციას მოახდენს ქიმიკატების გამოყენებაში. ეს ნივთიერება მეცნიერებს დაეხმარება გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაში — იგი სამჯერ უკეთესია, ვიდრე ჩვეულებრივი წყალი, ისრუტავს ნახშირორჟანგს და ხელს უშლის მის მოხვედრას ატმოსფეროში. „მშრალი წყალი“ ასევე შეიძლება გამოვიყენოთ მეთანის მარაგის შესანახად და მისი ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდისთვის, — ამბობენ ბრიტანელი სწავლულები.

სუდოკუ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2		5			6			9
			2	8				5
	7			4	3			8
						1		
7		2				3		6
		9						
4			3	6			8	
6				7	8			
3			1			6		2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		6	2		9			
				1				
		7			3		2	1
	2		6				7	9
		4				2		
3	9				7		5	
6	1		9			5		
				5				
			4		6	8		

ᲠᲗᲣᲚᲘ

		7	3	4				9
		6	8					
4			1		9			6
	2					4	7	
		5				3		
	4	1					6	
5			6		3			2
					1	6		
2				9	5	1		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		6						8
		2		8	7	6	4	
				9	4			
			9					1
	5			7			3	
4					6			
			3	6				
	6	8	4	2		9		
9						4		

მკურნალობის უჩვეულო ხალხური მეთოდები

ბევრი ჩვენგანი, როგორც კი თავს გაციების პირველ ნიშნებს შეატყობს, ცდილობს, ცხელი ჩაი მიირთვას ლიმნით, თაფლით ან ჟოლოთი, ყელში სოდიანი წყალი გამოივლოს ან მკურნალობის სხვა ხალხურ მეთოდებს მიმართოს. მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლის საკუთარი, ხალხური მეთოდები არსებობს. გავეცნოთ რამდენიმე მათგანს:

ელექტროშოკი თავისტკივილის წინააღმდეგ — ძველ ბერძნებს სჯეროდათ, რომ თავისტკივილის დაამება ელექტრული შოკით შეიძლება, რომელსაც გველთევზასგან იღებდნენ. სხვათა შორის, თევზებს, რომელთაც შეუძლიათ ძაბვის გამომუშავება, არა მხოლოდ საბერძნეთის, არამედ ბევრი ქვეყნის მედიცინაში იყენებდნენ. ასე, ეგვიპტელები ელექტრული გველთევზების წყალობით, რევმატიზმსა და ციებ-ცხელებას მკურნალობდნენ.

ხახვი მაღალი ტემპერატურის დროს — კანადელებს მიაჩნიათ, რომ სხეულის მაღალ ტემპერატურას მალე დააგდებთ, თუკი ავადმყოფის ქუსლებს უმ ხახვს დაადებთ.

ყურის გოგირდი ჰერპესისთვის — ამერიკელები გვთავაზობენ, დღეს ფართოდ გავრცელებულ ჰერპესს ყურის გოგირდით ვიმკურნალოთ. საამისოდ საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად წაუსვათ ჰერპესის ბუშტუკებს ეს გოგირდი.

ობობა მალარიის წინააღმდეგ — მიუხედავად იმისა, რომ მალარია უფრო ხშირად ტროპიკულ ქვეყნებში გვხვდება, ვიდრე ევროპაში, ამ დაავადებისგან განკურნების ყველაზე საინტერესო საშუალება ნისლიან ალბიონზე იციან. ბრიტანეთის მცხოვრებლები ადრე დარწმუნებული იყვნენ, რომ მალარიის დროს ავადმყოფს აბივით დაპრესილი... ობობას ქსელი შველის, საბოლოო გამოჯანმრთელებისთვის კი პაციენტმა ობობაც უნდა მიირთვას, სასურველია, მწერი ცოცხალი იყოს.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	3	1	7	4	5	9	2	8
2	9	7	1	8	3	6	5	4
5	8	4	2	6	9	3	7	1
1	2	5	6	9	8	7	4	3
3	4	8	5	1	7	2	9	6
9	7	6	4	3	2	1	8	5
8	6	3	9	2	4	5	1	7
7	1	9	8	5	6	4	3	2
4	5	2	3	7	1	8	6	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	2	8	4	3	7	1	9	5
3	1	9	6	5	2	4	8	7
7	5	4	1	9	8	3	2	6
1	9	6	8	7	5	2	4	3
8	4	3	9	2	6	7	5	1
5	7	2	3	4	1	9	6	8
4	6	7	5	1	9	8	3	2
2	3	5	7	8	4	6	1	9
9	8	1	2	6	3	5	7	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	1	8	9	5	7	6	4	3
7	6	4	3	2	1	5	8	9
5	3	9	4	8	6	7	2	1
9	8	2	1	3	5	4	7	6
1	4	7	8	6	9	3	5	2
3	5	6	2	7	4	1	9	8
8	9	5	7	1	3	2	6	4
6	2	3	5	4	8	9	1	7
4	7	1	6	9	2	8	3	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	1	2	9	8	6	7	5	4
9	7	8	5	3	4	6	2	1
6	5	4	2	1	7	3	9	8
8	9	6	4	7	1	5	3	2
5	4	3	8	2	9	1	6	7
7	2	1	3	6	5	4	8	9
4	8	5	7	9	3	2	1	6
2	6	7	1	5	8	9	4	3
1	3	9	6	4	2	8	7	5

ყავა თვალის დაავადებების წინააღმდეგ

ყავის მოყვარულებს ნაკლებად ემუქრება თვალის ისეთი დაავადების განვითარება, როგორიც ბლეფაროსპაზმია, — მიიჩნევენ იტალიელი სპეციალისტები. მათი მონაცემებით, ყავის დამცავი ეფექტი ყოველდღიურად ერთი ფინჯანი ამ მაცოცხლებელი სასმელის მიღებით მიიღწევა. ბლეფაროსპაზმი — დისტონიის სახელით ცნობილი ნევროლოგიური დაავადების ერთ-ერთი ფორმაა. მას თვალის ორმხრივი მოჭუტვა ახასიათებს, რაც თვალის წრიული კუნთის შემცირებითაა გამოწვეული. დაავადების საწყის სტადიაზე ადამიანს თვალების ხშირი ხამხამი და გაღიზიანება აწუხებს, შემდეგ სპაზმები უფრო ძლიერი და ხანგრძლივი ხდება, რაც ზიანს აყენებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას: პაციენტს არ შეუძლია კითხვა, ტელევიზორის ყურება, ქუჩაზე გადასვლა... როგორც ცნობილია, ბლეფაროსპაზმი 50 წელს გადაცილებულ ქალბატონებში გვხვდება.

გამოკვლევაში, რომელიც ბარის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს, ბლეფაროსპაზმით დაავადებულები მონაწილეობდნენ. ნევროლოგები შეეცადნენ, დაავადების განვითარებასა და მიმდინარეობაზე ისეთი ჩვევების გავლენა შეემოწმებინათ, როგორიცაა მოწევა და ყავის მოხმარება. აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, ვინც ამ „ღვთიურ სასმელს“ რეგულარულად მიირთმევდნენ, ნაკლებად იტანჯებოდნენ თვალის დაავადებით, თანაც ყავის დამცავი მოქმედება სასმელის დოზის გაზრდით მატულობდა. მიღებული ყავის მოცულობა გავლენას ახდენდა იმაზეც, რა ასაკში განვითარდებოდა ბლეფაროსპაზმი. გაირკვა, რომ დღეში ყოველი ზედმეტი ფინჯანი ყავა დაავადების განვითარებას 1,7 წლით აფერხებდა. მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ მოწევა არანაირ ზეგავლენას არ ახდენდა ამ ნევროლოგიურ დარღვევაზე.

სწავლულთა თქმით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყავის დამცავი ეფექტი კოფეინითაა განპირობებული, რადგან ეს ნივთიერება ტვინის იმ რეცეპტორებს ბლოკავს, რომლებიც ტრემორის (კანკალი, ცახცახი) განვითარებაზეა პასუხისმგებელი.

დეპრესია _ ყველაზე ძვირადღირებული დაავადება

სპეციალისტების განცხადებით, ადამიანის დათრგუნული მდგომარეობა სახელმწიფოს ძვირი უჯდება. დეპრესია — ფსიქიკის მეტად გავრცელებული აშლილობაა, რომელიც შეიძლება ფარული სიმპტომებით მიმდინარეობდეს და ორ წელიწადზე მეტხანს გაგრძელდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევების მიხედვით, რომელიც 1990-2010 წლებში მიმდინარეობდა, ქვეყნის ბიუჯეტს ყველაზე მეტად დეპრესიული აშლილობა ურტყამს. სწავლულებმა ქვინსლენდის უნივერსიტეტიდან გააანალიზეს მონაცემები დაავადების გავრცელების, მისი დონის, ხანგრძლიობის, რეციდივების სიხშირის, სიკვდილიანობისა (სუიციდი) და გართულებული დაავადებების (მაგალითად, გულის იშემიური დაავადების) მხრივ. სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მძიმე დეპრესიული მდგომარეობა 20-30 წლის ასაკზე მოდის, განსაკუთრებით კი ქალები ზარალდებიან, ხოლო დეპრესიული აშლილობა მეორეა იმ დაავადებათა ჩამონათვალში, რომლის გამოც ადამიანი შრომისუუნარო ხდება.

ნიორი მდერად ბაქტერიებს ებრძვის

ნიორი ისეთ ნაერთებს შეიცავს, რომელიც ყველაზე მდგრად ბაქტერიებს ანეიტრალებს, მათი კავშირის სისტემა მწყობრიდან გამოჰყავს და არ აძლევს საშუალებას, გამოყონ ტოქსინი რამნოლიპიდი, რომელიც სისხლის თეთრ უჯრედებს ანადგურებს, ეს უჯრედები კი, თავის მხრივ, ორგანიზმს ინფექციებისგან იცავს. როცა პათოგენები ერთად გროვდება და მდგრად ფენას — ბიოფირფიტას ქმნის ორგანული მასალისგან, ის მეტად მდგრადი ხდება ანტიბიოტიკების მიმართ. სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ ბაქტერია სეუდომონას აერუგინოსა, რომელიც პაციენტებში ქრონიკულ წყლულს ფეხზე და ფილტვების პრობლემებს იწვევდა. როცა ამ ბაქტერიის ბიოფირფიტა დაამუშავეს ანტიბიოტიკებით, მცირე ეფექტის მიუხედავად, დამატებითი პრეპარატების მოძიება გახდა საჭირო, აჯოენის დამატებამ კი სრულად შეცვალა სურათი — ბაქტერიების 90% განადგურდა. უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ნიორში ცოტა აჯოენია და ეფექტის მისაღებად ადამიანმა, დაახლოებით, 50 თავი უნდა მიირთვას.

ავსტრიაში გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, საქართველოს ყოფილი ელჩი გაერო-ში რეზო ადამია.

არ მინდა, მკითხველი ბატონი რეზოს ბიოგრაფიის დეტალებით გადავღალო, მაგრამ არ შემიძლია, არ გავიხსენო მისი ცხოვრების ერთი პერიოდი, რომელიც საქართველოსთვის უმძიმეს საკითხს — ტერიტორიულ მთლიანობას ეხება. ეს ის დროა, როცა აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ვეწეოდი და, ფაქტობრივად, მუდმივი კონტაქტი მქონდა, როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან, მოგვიანებით კი, საქართველოს ელჩთან გაერო-ში. უსამართლო ვიქნები, თუ არ გავიხსენებ მის მკვეთრ განცხადებებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსული ოკუპაციისა და ანექსიის შესახებ, რასაც მუდამ თან სდევდა საერთაშორისო საზოგადოების მძაფრი რეაქცია. ალბათ, ერთ-ერთი ასეთი იყო 2005 წლის 27 ოქტომბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოში გაგზავნილი მისი წერილი, სადაც რეზო ადამია აცხადებდა, რომ რუსეთის ეგიდით აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციამ თავისი პოტენციალი ამოწურა და მხარს უჭერდა გაერო-ს ეგიდით სრულმასშტაბიანი საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებას. მან აფხაზური მხარის უარი, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ გალში ქართულ ენაზე ისწავლონ, შეაფასა, როგორც „კულტურული გენოციდი“ და განაცხადა, რომ „ამჟამად, ის მასწავლებლები, რომელთაც გაბედეს, ქართულ ენაზე ჩაეტარებინათ გაკვეთილები, გაყარეს და მთელი სასკოლო პროგრამა რუსულ ენაზე ისწავლება...“

„რუსეთის ფედერაცია კვლავაც უკანონოდ ინარჩუნებს გუდაუთაში სამხედრო ბაზას. სეპარატისტულ მთავრობაში თანამდებობები იმ ხალხს უკავია, რომლებიც პირდაპირ რუსეთის საჯარო სამსახურებიდან გამოაგზავნეს; რუსეთის იურიდიული პირები ყიდულობენ ქონებას და მიწას სეპარატისტულ რეგიონებში, რუსეთი განაგრძობს რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის. ჩვენ მოწმენი ვართ ... რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ტრივიალური სამხედრო ანექსიისა, სადაც ეს სამხედრო ნაწილები — რუსი სამშვიდობოები ანექსირებული ტერიტორიების საზღვრებს იცავენ“.

სამწუხაროდ, 2008 წელს ვერავინ შეძლო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გადარჩენა საბოლოო ოკუპაციისგან... თუმცა პირად საუბრებში ბატონი რეზო დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების იმედს არასოდეს კარგავდა და ამბობდა — მოვა დრო და საქართველო გამთლიანდება.

რეზო ადამია თბილისში დაბრუნების შემდეგ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. იგი გახლდათ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. ალბათ, ამ დღეებში, ავსტრიიდან მისი გადმოსვენების შემდეგ, სადაც იგი სიმსივნის მძიმე დაავადებას მკურნალობდა, მასზე მეცნიერები, პოლიტიკოსები, მეგობრები უამრავ მოგონებას გამოაქვეყნებენ და სათანადოდ დააფასებენ ქართველს, რომელმაც საკუთარი ვალი მოიხადა.

„ვერსია“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რეზო ადამიას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

მაია ფურცელაძე,
გაზეთ „ვერსიის“ გამომცემელი და მთ. რედაქტორი

გაზეთი „ვერსია“ და მაია ფურცელაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ყოფილი გენერალური დირექტორის

გოგი გეგეშიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, ოჯახსა და ახლობლებს!

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.